ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 26 აპრილი, 2012 №98 (5788) ფასი: 30 თეთრი

25 აპრილიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
მე-3 ტომი
კანიბალიზმის ისტორია
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




# ბიძინა ივანიშვილის კომპიუტერიდან ჩვენმა ჰაკერმა ხელისუფლებამ საოჯახო ვიდეოარქივი მოიპარა



გვ.3

რა სკანდალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს „ქართული ოცნება“?



გვ.4

## ნუგზარ ნიკლაური: „ქართულმა ოცნებამ“ პროვოკაცია მოგვიწყო

## კობა დავითაშვილი: „მინდია გულუა ხელისუფლებასთან არის შეკრული“

გვ.2





გვ.3

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ხათუნა კალმახელიძე მხოლოდ ფორმალურადაა მინისტრი“

## სუნგ კო კიმი: „ქართული ბაზარი ძალზე სწრაფად მზარდია, ხოლო მაგთიკომი არის №1 ოპერატორი“

მაგთიკომი და სამსუნგი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ გვ.5

ყურადღება!!!

უყურეთ „მეცხრე არხს“ GLOBAL TV-ის და TURKSAT-ის თანამგზავრის მეშვეობით შემდეგ მონაცემებზე:

- პოზიცია – 42 (გრადუსი);
- სიხშირე – 12638 V;
- სისტემა – DVB –S;
- SRFEC – 4074 5/6.



გვ.2

## 2 მაისს სიცოცხლის უფლებას დავიცავთ!

„ახალი თაობა“+
კაზანოვა
8 ლარი
18 აპრილიდან




ISSN 1987-9385

**7** უმწეობის სტატუსის მინიჭება პოლიტიკური ნიშნით ხდება

**2** ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა

**4** ძამბოლატ თედეევი: „კოკოითი ცხინვალში ვერ ჩამოვა!“

**6** ზაქარია ქუცნაშვილი: „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებებს მალე მოეღება ბოლო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობა დავითაშვილი: „მინდია გულუა ხელისუფლებასთან არის შეკრული“

თამარ ნინიძე



უჩვეულოდ წყნარად გაიმართა „პრაიმტაიმში“ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, კობა დავითაშვილის პრესკონფერენცია. ამჯერად მიშისტი ჟურნალისტებიც კი უფრო კორექტულები იყვნენ, ვიდრე სხვა დროს ყოფილან.

კობა დავითაშვილმა სიების დაზუსტების კომისიას კიდევ ერთხელ გამოუცხადა უნდობლობა. თავად მიიჩნევს, რომ სიები ბიომეტრული მონაცემებით უნდა იყოს დაზუსტებული და არჩევნებიც ასე უნდა ჩატარდეს. მისი თქმით, ის რამდენიმე არჩევნებში მონაწილეობდა და კარგად იცის გაყალბების მექანიზმი, თავიდან ხელისუფლება აცხადებს, რომ სიებს აზუსტებს, საარჩევნო დღეს კი აღმოჩნდება ხოლმე, რომ არჩევნები ძველი სიებით ტარდება. კითხვაზე, თუ რატომ არ თანამშრომლობს კოალიცია მამუკა კაციტაძე კომისიასთან, დავითაშვილმა განაცხადა, რომ თანამშრომლობის საკითხი თავად ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ვინც ხელი მოაწერა ცნობილ დოკუმენტს, რომელიც თავის დროზე რვიანს შესთავაზეს, სწორედ მათთან თანამშრომლობს დღეს ხელისუფლება და ერთობ ნაყოფიერადაც.

„მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ პარტიის ყრილობაზე ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა ის სოციალური საკითხები, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და რჩება, ეს არის ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ყველასთვის, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება და მისი გათანასწორება საარსებო მინიმუმთან“, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისი თქმით,. ჯანდაცვის ხარჯები ხშირად მოსახლეობის გალატაკებას იწვევს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემით, ყოველი მეცხრე ქართველი გალატაკდა ჯანდაცვის მომსახურების შედეგად. მოუწიათ სახლ-კარის გაყიდვა, რათა ოჯახის წევრის მკურნალობის ხარჯები დაეფარათ. ამ ადამიანებს კი ხელისუფლება დღეს სთავაზობს ასეთ ფორმულირებას – ჯერ გალატაკდი, მერე მოგცემ პოლისს. კოალიცია „ქართული ოცნება“ კი, დავითაშვილის თქმით, სთავაზობს ფორმულირებას – მოგცემ პოლისს, რომ არ გალატაკდე, დავითაშვილს მიაჩნია, რომ საშუალო თაობას, რომელიც ზრუნავს ბავშვებზე და უფროს თაობაზე, უნდა ჰქონდეს ეს პოლისი. ვინც დასაქმებულია, მათზე არსებული საშემოსავლო გადასახადის ფარგლებში 20%-დან უნდა გამოიყოს 7% ჯანმრთელობის დაზღვევისთვის, ხოლო დაუსაქმებელი მოსახლეობა - ბავშვები და მოხუცები - უნდა დააზღვიოს სახელმწიფომ.

ხალხის პარტიის ლიდერის ცნობით, კოალიცია „ქართული ოცნება“ მოსახლეობას სთავაზობს ე.წ. ბისმარკის მოდელს, ეს მოდელი უკვე 130 წელია მოქმედებებს არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ამის ბოლოს წარმატებული მაგალითი ესტონეთია. 1883 წელს ოტო ფონ ბისმარკმა შემოიღო სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა, პრუსიაში ამ მოდელმა დაიწყო მუშაობა 1846 წელს, საქართველოს საუკუნოვანი ჩამორჩენა აქვს ევროპისგან. ადამიანი ექიმთან რომ მივა, ექიმმა უნდა გაუსინჯოს მაჯა და წნევა და არა ჯიბე, ხოლო თუ ჯიბეები ხალვათი აღმოჩნდა, მკურნალობა არც შეეწყოს, ამისთვის საჭიროა საბაზო პაკეტის სქემა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ეს პირდაპირ აისახება ეკონომიკის მდგომარეობაზე. ჯანდაცვის მდგომარეობის გაუარესება იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის გაუარესებას. დღეს კობა დავითაშვილის მონაცემით, ჯანდაცვაზე იხარჯება 480 მილიონი ლარი, კოალიცია კი სთავაზობს საზოგადოებას დაიხარჯოს 845 მილიონი. ნაცვლად სააკაშვილის მიერ ყოველი მეორე ადამიანის დაზღვევის შეთავაზებისა, დაიზღვიოს ყველა ადამიანი.

დავითაშვილის ინფორმაციით, დღეს ბიუჯეტის მდგომარეობა საკმაოდ რთულია, კოალიციის წევრებმა იციან, რომ დახვდებათ რთული ვითარება, ბიზნესმენებს ორი-სამი წლის გადასახადები აქვთ გადახდილი, ეკონომიკის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, ხოლო კოალიცია ისეთ დაპირებებს ვერავის მისცემს, რასაც ვერ შეასრულებს.

მაჟორიტარებთან დაკავშირებით კობა დავითაშვილი ამბობს, რომ სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე დგინდება, რომელი პოლიტიკოსი უფრო პოპულარულია კონკრეტულ უბანზე და რეგიონში, შიდა პრაიმერით ეს არ დგინდება, კოალიციის წევრები კი შეთანხმებულად მოქმედებენ და უთანხმოება ამასთან დაკავშირებით არა აქვთ.

ეროვნულ ფორუმსა და კოალიციას შორის შავ კატას არ გადაურბენია, ამას დავითაშვილი უარყოფს. მისი თქმით, ფორუმი პარტიული შემადგენლობით არის კოალიციაში, განხეთქილება არ არის თუ არ ჩანან, დავითაშვილი ამბობს, რომ არც ის ჩანდა, რადგან კონკრეტულ საკითხზე – ჯანდაცვაზე მუშაობდა. ხალხის პარტიის ლიდერმა მოიყვანა იტალიელი ჟურნალისტის უმბერტო ეტოოს წერილი, მაგალითად, იტალიაში მედია დაკავებულია ერთი საქმით – მიდის ერთ პოლიტიკოსთან და მეორეს აგინებინებს, მერე ამ მეორეს აპასუხებინებს. დავითაშვილის აზრით, დღევანდელი საქართველო ზუსტად იმეორებს 70-80 წლების იტალიის მდგომარეობას მედიის თვალსაზრისით.

განახლებული საქართველოს ლიდერის მინდია გულუას პარტიაზე და თავად გულუაზე პრესკონფერენციის მსვლელობის დროს დიდი დაინტერესება იყო, მაგალითად, ითქვა, რომ განახლებული საქართველოს წევრები კობა დავითაშვილს აბრალებენ, რომ ისინი კონტროლის პალატაში დაიბარეს ფინანსებთან დაკავშირებით. პირდაპირ ამბობენ, დავითაშვილს რომ არ ეთქვა, რატომ სხვა პარტიებსაც არ იბარებთო, ჩვენ არ დაგვიბარებდნენო. ამაზე დავითაშვილმა ღიმილით უპასუხა, რომ ასეთ პარტიას არ იცნობს, რაც შეეხება მინდია გულუას, ის დავითაშვილს შეხვდა მოსკოვში ორჯერ. დავითაშვილს ერთ-ერთ ინტერვიუში უთქვამს, რომ გულუას პარტია ხელისუფლებას სასათბურე პირობებში ჰყავს,.დავითაშვილმა ეს არ უარყო.

– გულუას შევხვედრილვარ, ის ძალიან ბევრს საუბრობდა იპოზიციონერობაზე, ჩვენი ურთიერთობა დასრულდა მას შემდეგ, როცა მან დაბეჭდა წერილი, სადაც ამბობდა, რომ მას არა აქვს პრობლემები არც სააკაშვილთან, არც მერაბიშვილთან და აქვს პრობლემა მხოლოდ ახალაიასთან. ამ ადამიანმა განაცხადა, მინდა ვიყო ხელისუფლებისგან მართული პოლიტიკური ძალა. თავდაცვის მინისტრთან მაქვს მხოლოდ პრობლემა და თუ ამ პრობლემას მომიგვარებთ, თქვენი ერთგული ვიქნებიო. დასრულდა ჩვენი ურთიერთობა და დაიწყო მისი და მერაბიშვილის ურთიერთობა. წარმატებებს ვუსურვებ, – განაცხადა დავითაშვილმა. მას უკვირს, არის კი ბუნებაში ოპოზიციონერი, რომელიც ოპოზიციაშია მხოლოდ თავდაცვის მინისტრთან და არ არის ოპოზიციაში პრეზიდენტთან და ხელისუფლებასთან? დავითაშვილს ეცინება იმ პერსპექტივაზე, რომ როდისმე გულუას პარტია შეიძლება კოალიციის კონკურენტი იყოს, გულუა კი ივანიშვილის ოპონენტი.

არის თუ არა კოალიცია „ქართული ოცნების“ პრიორიტეტი სოციალური პრობლემები და არა, ვთქვათ, ტერიტორიული მთლიანობა, დავითაშვილს ამ კითხვაზეც აქვს პასუხი. მისი აზრით, სოციალურად მიმზიდველ ქვეყანას, სადაც ადამიანები დაზღვეული არიან ჯანდაცვით და აქვთ კარგი შემოსავლები, მაგალითის მიცემა სხვა ქვეყნებისთვისაც შეუძლია; მაგალითად, თუ საქართველოს მოქალაქე სოციალურად დაცულია და ამას ხედავს ჯერჯერობით ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრები, მასაც უჩნდება სურვილი, წელგამართულ ქვეყანაში იცხოვროს. ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვებით საქართველოში პრიორიტეტი სოციალურ საკითხებს უფრო მიენიჭა, ვიდრე ტერიტორიულ მთლიანობას. დავითაშვილის თქმით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კოალიცია ამის გამო დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის არ იბრძოლებს, მაგრამ საზოგადოების დაკვეთა ახლა ასეთია. ეს უფრო დაეხმარება ტერიტორიების დაბრუნებას.

კითხვა ისევ მინდია გულუას პერსონას დაუბრუნდა, იქნება თუ არ ის კოალიციის კონკურენტი, დავითაშვილის თქმით, ის იქნება ქრისტიან-დემოკრატების კონკურენტი.

„როცა მე მას შევხვდი, ის იყო დიასპორის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იმ მიზნით შევხვდი, რომ რუსეთში შექმნილიყო ქართული ლობი, ის აცხადებდა, რომ ქართული ლობის ჩამოყალიბებით არის დაინტერესებული, მერე კი მისი პრიორიტეტები შეიცვალა და ახლა ვხედავთ იმას, რასაც ვხედავთ“, – განაცხადა დავითაშვილმა.

# ავღანეთში კიდევ ერთი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა

შორენა გონგლაძე

ავღანეთში კიდევ ერთი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სერჟანტი ვალერიან ხუჯაძე 31-ე ბატალიონის შემადგენლობიდან ჰელმანდის პროვინციაში პატრულირების დროს მოწინააღმდეგის მიერ დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა, საქართველომ უკვე მე-16 სამხედრო დაკარგა მას შემდეგ, რაც ქვეყანა 2009 წლის ნოემბერში ნატოს ისაფ-ის მისიას შეუერთდა – ყველა მათგანი ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა და მათგან ხუთი წელს დაიღუპა.

„ხუჯაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2004 წლიდან მსახურობდა. მონაწილეობდა ერაყის სამშვიდობო მისიაშიც. 2011 წელს ხუჯაძეს მიღებული აქვს მედალი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

წელს საქართველო ქვეითთა კიდევ ერთი ბატალიონის გაგზავნას გეგმავს ავღანეთში, რომლებიც დაემატებიან იმ 936 ქართველ ჯარისკაცს, ვინც უკვე მსახურობს ნატოს ეგიდით მიმდინარე ისაფ-ის ოპერაციაში. დამატებითი ბატალიონის გაგზავნის შემდეგ – რაც 749 სამხედროს შეადგენს – საქართველო ნატოს ის არაწევრი სახელმწიფო იქნება, რომელსაც ყველაზე მეტი სამხედრო ეყოლება ავღანეთში.

საქართველომ პირველად თავისი სამხედროები ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობისთვის 2004 წელს გაგზავნა. მაშინ 50 ჯარისკაცი ხანმოკლე ვადით მსახურობდა გერმანული სარდლობის ფარგლებში, ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

2009 წლის ნოემბერში საქართველომ 173 სამხედრო განათავსა ქაბულში ფრანგული სარდლობის ქვეშ, ხოლო მომდევნო წელს ავღანეთში სამხედროების რაოდენობა გაზარდა და ჰელმანდის პროვინციაში ქვეითთა ბატალიონი განათავსა, რომლებიც იქ ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად მსახურობენ.

2011 წლის დასაწყისში საქართველომ 11 სამხედრო ინსტრუქტორი გაგზავნა ყანდაარში ფრანგული სარდლობის ქვეშ.

# 2 მაისს სიცოცხლის უფლებას დავიცვათ!

გულიკო ბალაძე



2 მაისისთვის გრანდიოზული აქცია იგეგმება. გუშინ „სამოქალაქო ფრონტისა“ და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა ყოფილ კორტებთან აქცია გამართეს და სამოქალაქო საზოგადოებას, პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდეს, რამდენიმე წლის წინ, 2 მაისს, ახალგაზრდა ბიჭების, ზურა ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების დახვრეტა გააპროტესტონ.

მიმდინარე წლის 2 მაისს, 12 საათზე, ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლის“ ოფისიდან დაიწყება მსვლელობა მანქანებით. ეს იქნება მოძრავი მსვლელობა ქალაქის მასშტაბით, რომელიც შეჩერდება მთავარ პროკურატურასა და შს სამინისტროსთან კონკრეტული ლოზუნგითა და მოთხოვნებით. კოლონა შეუერთდება 2 მაისს 2 საათზე დანიშნულ აქციას კორტებთან. ველოდებით სრულიად საქართველოს, ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც საქართველოში ადამიანის უფლებები შელახულია და სიცოცხლის უფლება ხელყოფილია პოლიციისა და შს სამინისტროს მიერ. ამ ყველაფრის მფარველია მხოლოდ და მხოლოდ მერაბიშვილ-სააკაშვილის ბანდები. მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს, ხმა აიმაღლოს, ვინაიდან დუმილი ნიშნავს დანაშაულის გაზიარებას, თანამონაწილეობას, ასევე შეგუებას, რაც, საბოლოო ჯამში, სააკაშვილის თავხედურ ქმედებებსა და მისთვის მწვანე შუქის მიცემაში აისახება. მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს და დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, რომ ისინი არასოდეს არ შეეგუებიან საქართველოში სიცოცხლის უფლების ხელყოფას და ეტყვიან არას ვანო მერაბიშვილის მიერ დაბეჩავებულ საქართველოს. ვანო მერაბიშვილი ცდილობს დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჰყავდეს მთელი საქართველო, – განაცხადა „სამოქალაქო ფრონტის“ თავმჯდომარემ ჯაბა ჯიშკარიანმა, – მათი ლოზუნგი იქნება „შევაჩეროთ ძალადობა“, „გადავარჩინოთ სიცოცხლე“, „დაისაჯონ მკვლელები“. ლოზუნგები ეხება ხელისუფლებას (რომელიც არის არალეგიტიმური), სამოქალაქო საზოგადოებას და პოლიციას.

*– ბატონო ჯაბა, ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად არის შესაძლებელი მკვლელების დასჯა?*

– ამ ხელისუფლების პირობებში არ მოხდება მკვლელების დასჯა. ასევე არსებულ სიტუაციაში არჩევნებში ოპოზიციურად განწყობილი ძალების გამარჯვება გაძნელდება, თუ მნიშვნელოვანი გარდატეხა არ მოხდა.

*– არსებულ ვითარებაში ოპოზიციას გამარჯვება გაუჭირდება?*

– ოპოზიცია გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება ერთიანი, ისე, როგორც 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე. ამას პლუს თუ მოქმედების სტრატეგიაში უნდა იყოს ქუჩის აქციები, რომელიც ერთადერთი ზეწოლის მექანიზმია, ერთადერთი ბერკეტია, რასაც დემოკრატიული ღირებულებები გვაძლევს. სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ სამოქალაქო საზოგადოებას, თავისი ნება კიდევ ერთხელ გამოხატოს. ქუჩის აქციები არ არის ცუდი და იმის საბაბის მიცემა ხელისუფლებისთვის, რომ ჩვენ გვეძახოს რუსის ჯაშუშები. პირიქით, ბევრ ცივილიზებულ ქვეყნებში ეს მიღებულია. ამერიკა აღიარებს ქუჩის აქციებს, რომ ეს არის დემოკრატიული ფორმა, სადაც ხალხის ნება გამოიხატება. ეს აქცია მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ერთსულოვნება გამოჩნდეს კონკრეტულად ამ საკითხში. ჩვენ აქ ველოდებით ყველა პოლიტიკოსს, ყველა არა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ხათუნა კალმახელიძე მხოლოდ ფორმალურადაა მინისტრი“

## დღეს პარლამენტში 5 მინისტრი 26 კითხვაზე პასუხის გასაცემადაა დაბარებული

შალვა ჯოხაძე

ოპოზიციონერმა დეპუტატებმა პარლამენტში სამთავრობო საათზე 5 მინისტრი დღეისათვის დაიბარეს. ფრაქციას „ერთობა სამართლიანობისთვის“ იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუასთან, განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინთან და სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძესთან სულ 26 კითხვა აქვს. ეს შეკითხვები მათ წინასწარ გაეგზავნათ. ყველაზე ცოტა, სულ რაღაც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა ხათუნა კალმახელიძეს მოუწევს. თუმცა, როგორც დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ეს კითხვა ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანია ამ დროისათვის.

– ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრთა მხრიდან არაერთი შუამდგომლობის მიუხედავად, რომ მძიმე და უკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულების მიმართ მუდმივმოქმედ სამედიცინო კომისიას მათი საქმეები შეესწავლა და კანონშესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო, დღემდე რეაგირება არც ერთ მათგანზე არ ყოფილა. ეს ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული კომისიის ობიექტურობას, მაშინ, როდესაც მრავალი უმძიმესი ავადმყოფი მსჯავრდებული საწოლზე მიჯაჭვული ელის თავის აღსასრულს. იღებს თუ არა მინისტრი კალმახელიძე პასუხისმგებლობას კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფაზე? – ასე ჩამოაყალიბა ფრაქციამ თავისი შეკითხვა კალმახელიძისადმი.

როგორც „ახალ თაობასთან“ საუბრისას დიმიტრი ლორთქიფანიძემ აღნიშნა, ხათუნა კალმახელიძის პარლამენტში დაბარება მისი უშუალო ინიციატივით მოხდა.

კალმახელიძის მუშაობის მიმართ პრეტენზიები არ ილევა. ამ საკითხზე საუბრობენ პოლიტიკოსები, ადამიანის უფლებათა დამცველები, ადვოკატები, პატიმრების ახლობლები. ამ პრობლემატიკას უდიდესი ადგილი ეთმობა სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშშიც. თუმცა, სასჯელაღსრულების სამინისტრო პიარზეა გადასული, რაშიც რამდენიმე დღის წინ „იმედზე“ გადაცემული „სპეციალური რეპორტაჟის“ ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ხათუნა კალმახელიძემ, რომელიც მწვავე თემებზე საუბარს ყოველთვის გაურბის და მედიას ემალება, კამერების წინაშე ბევრი ისაუბრა, თუ რა საამურია ყოფა ქართულ ციხეში. დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ამ გადაცემის ნახვის შემდეგ მას მრავალი პატიმარი დაუკავშირდა და საკუთარი აღშფოთება გამოხატა, ჩვენ სხვა ციხეში ვსხედვართო? თუმცა, ერთია კვება, მაღაზია და სხვა დეტალები ციხის რეალობიდან და მეორე – სიკვდილიანობის კატასტროფული მაჩვენებელი, რაზეც „ერთობა სამართლიანობისთვის“ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

– დღეს თუ რამე არის აღსანიშნავი, ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლების, სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები პენიტენციურ სისტემაში. ეს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს. სწორედ ამის გამო მივმართეთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს, ხათუნა კალმახელიძეს შეკითხვით, იღებს თუ არა პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის პასუხისმგებლობას საპყრობილეებში გახშირებული სიკვდილიანობის ფაქტებთან დაკავშირებით. ეს სიკვდილიანობა პირდაპირ კავშირშია უწყებათშორისი მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისიის მუშაობის სერიოზულ ხარვეზებთან. კომისიისა, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ირაკლი გიორგობიანი ხელმძღვანელობს. ეს არის ორი მინისტრის ბრძანებულებით რეგლამენტირებული კომისია და მის მუშაობაზე თანაბრად უნდა აგებდნენ პასუხს როგორც ჯანდაცვის, ისე სასჯელაღსრულების მინისტრები. ამ შემთხვევაში, სასჯელაღსრულების მინისტრზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან სწორედ მის უწყებაში იღუპებიან ადამიანები.

ბოლო ორ წელიწადში გარდაცვლილთა სავალალო მაჩვენებელია. 2010 წელს 142 პატიმარი გარდაიცვალა, 2011 წელს – 140. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდაცვლილთა შორის ყოველ მესამეს ფიზიკური ზემოქმედების კვალი აღენიშნებოდა, რაც კავშირში არ იყო რომელიმე ქირურგიული ხასიათის მანიპულაციასთან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ციხეში ადამიანების წამება და მათზე ფიზიკური ზემოქმედება ხდება.

როდესაც იზრდება ხვედრითი წილი იმ პატიმრებისა, რომელთა ასაკიც 24-დან 40 წლამდეა და რომლებიც ჯანმრთელი შევიდნენ პენიტენციურ სისტემაში, იქ კი სიცოცხლე დაასრულეს, ხომ არის ელემენტარული ლოგიკა, როგორც მინიმუმ, მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხით უნდა დავიწყოთ. ამის შემდეგ უნდა ჩამოვიდეთ ქვედა რგოლებში და, საერთოდ, მივხედოთ რეალურ რეფორმას, რომელიც გადატვირთულობის პრობლემის მოხსნით უნდა დაიწყოს.

– სასჯელაღსრულების უწყება ამ პრობლემის არსებობაზე არ საუბრობს. მათი თქმით, იხსნება ახალი დაწესებულებები...



– თუმცა, გადატვირთულობა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. გადატვირთულობის პრობლემის მოხსნა საყოველთაო ამნისტიასთან არის კავშირში. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების განხილვასთან, შეწყალებასთანაა დაკავშირებული. გადატვირთულობა საბოლოოდ დაავადების მატების ტენდენციასთან მიდის. დღეს, როდესაც გადატვირთულობის პირობებში ერთ საწოლს იყოფს 3 და 4 პატიმარი და როდესაც ტუბერკულოზის ეპიდემია მძვინვარებს, ბუნებრივია, აქ პრევენციის შედეგებზე საუბარი აბსურდია. პრევენცია ვერ შედგება, თუ გადატვირთულობის პრობლემა არ მოიხსნა.

– სამინისტრო კი პიარზეა გადასული, „სპეციალურ რეპორტაჟს“ თქვენც ნახავდით.

– დიახ. რაც შეეხება ამ ცინიკურ გადაცემებს „იმედზე“ და სხვადასხვა ნაციონალურ არხებზე, ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს საზოგადოების გალიზიანებას. მას მერე, რაც ეს გადაცემა ნახეს, არაერთმა პატიმარმა დამირეკა, რომლებიც გაგიჟებულები იყვნენ, როგორ, ჩვენ სხვაგან ვსხედვართ და სიუჟეტში სხვა რეალობას ვხედავთო?

ხათუნა კალმახელიძეს ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე პასუხის გაცემის ვალდებულება აქვს...

– თუმცა ხათუნა კალმახელიძე ყოველთვის გაურბის მწვავე თემებს, პიარზე გათვლილი განცხადებებით შემოიფარგლება. პრესას მისთვის საინტერესო საკითხებზე კომენტარის მიღება უწყებიდან ყოველთვის უჭირს...

– სასჯელაღსრულების სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით მისი პრესსამსახური უნდა იყოს მობილიზებული და დამეთანხმებით, რომ თეა სუხიშვილი, პრესცენტრის უფროსი, უბრალოდ, თქვენთან და თქვენს კოლეგებთან ურთიერთობას გაურბის. ეს არის ის პირველი და მნიშვნელოვანი გარემოება, რაზეც მედიამ უნდა გაამახვილოს ყურადღება. ეს პრესსამსახური არ მუშაობს, თუმცა თქვენი და ჩემი ჯიბიდან ფინანსდება!

ამას გარდა, ხათუნა კალმახელიძე ყოველთვის გაურბის განცხადებების კეთებას შეუთანხმებლად, ხოლო თუ ვისთან ათანხმებს, ეს ადვილი გამოსაცნობია – იმასთან, ვინც კურირებს მის უწყებას. ეს არის იუსტიციის სამინისტრო. ფაქტობრივად, სასჯელაღსრულების სამინისტრო იუსტიციის სამინისტროს ქვეუწყება გახლავთ. პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის განკუთვნილი არავითარი სამინისტრო უფლებამოსილებანი ქალბატონ ხათუნას არ გააჩნია. ის არ არის დამოუკიდებელი რამე განცხადების გაკეთებაშიც კი. მე ეჭვი მეპარება, მას უფლება აქვს კი, როცა მას მოესურვება, მაშინ შევიდეს და მაშინ მოინახულოს სასჯელაღსრულების ესა თუ ის დაწესებულება, იქ არსებული ვითარება. ეს იმიტომ, რომ ყოველი სიტყვა ზემდგომებთან უნდა შეათანხმოს. თუმცა, ფორმალურად სახეზე გვყავს მინისტრი. როგორც უნდა გვარიდებდეს ის თავს, ჩვენი ვალდებულებაა, მას კვალდაკვალ ვდიოთ. ეს იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ, როდესაც პოლიტიკური სისტემის რეფორმა მოხდება, ეს კრიმინალური ხელისუფლება შეიცვლება, მინისტრებს, მათ შორის კალმახელიძესაც, მოუწევთ პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე.

– ხათუნა კალმახელიძის მიერ მწვავე შეკითხვებისათვის თავის არიდების ფაქტი იმიტომ ვახსენეთ, რომ გვაინტერესებს, გაქვთ თუ არა იმედი, რომ ის პარლამენტში მოვა და რაც მთავარია, თემის შესახებ ილაპარაკებს. ხომ არ მოხდება იმის მსგავსი, რაც წინა სამთავრობო საათზე ვნახეთ – მინისტრების ნაცვლად მოვიდნენ მათი მოადგილეები და თანაც მხოლოდ საკუთარი უწყებები აპიარეს.

– მობრძანდება თუ არა ქალბატონი ხათუნა კალმახელიძე, ეს არ არის მასზე დამოკიდებული. ის ამას ალბათ, პრეზიდენტის დონეზე შეათანხმებს, ყოველ შემთხვევაში, შს და იუსტიციის მინისტრების დონეზე – ნამდვილად.

მინისტრები ვალდებული არიან, მოვიდნენ. როდესაც პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს, ნდობა ცხადდება მინისტრების და არა მათი მოადგილეების მისამართით, მოადგილეებისა, რომელთაც მხოლოდ მინისტრები ირჩევენ.

ჩვენ, პარლამენტს კითხვებზე პასუხის მიღება გვაინტერესებს უშუალოდ მინისტრებისაგან. ეს ვალდებულება მათ კანონით ეკისრებათ. ამიტომ, ის, რომ პარლამენტი ახორციელებს როგორც საკანონმდებლო, ისე მაკონტროლებელ ფუნქციებს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე; ის, რომ მინისტრები ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის წინაშე, ეს მათ ავალდებულებთ, რომ პირადად გამოცხადდნენ.

შესაძლოა, კონკრეტულ მომენტში ესა თუ ის მინისტრი სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდეს, თუმცა ხომ არ შეიძლება, რომ ხუთივე მინისტრი იყოს ასეთ ვითარებაში, 5-ივე აღმოჩნდეს ფორსმაჟორულ სიტუაციაში სხდომის დაწყებამდე 2 წუთით ადრე?!

## თერგზე 108 მგვტ-იანი დარიალჰესის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა

ყაზბეგის რაიონში მდინარე თერგზე დარიალის 108 მგვტ-იანი ჰიდროელექტროსადგური აშენდება. დარიალჰესის ძალური ტრანსფორმატორის და გამანაწილებელი მოწყობილობის პროექტირების, მოწყობისა და დასრულების მიზნით, სს „დარიალი ენერჯიმ“ ტენდერი გამოაცხადა.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა შესაბამისი წინადადება 29 მაისის 12:00 საათამდე უნდა წარადგინონ. ტენდერის პირობების თანახმად, აუცილებელია განაცხადი გარანტიით იყოს უზრუნველყოფილი.

პროექტით გათვალისწინებულია დარიალის 110 კვტ გადამცემი ხაზით, დარიალის ელექტროსადგურის ქვესადგურის დაკავშირება ეროვნულ ქსელთან.

ჰესის წლიური სტაბილური გამომუშავება 500 მლნ კვ/სთ იქნება. დარიალჰესი ელექტროენერგიის 70%-ს მაისიდან ოქტომბრამდე გამოიმუშავებს.

მშენებლობის ხანგრძლივობა 3,5 წელია.

ნიუსპრესი

## ბიძინა ივანიშვილის კომპიუტერიდან ჩვენმა ჰაკერმა ხელისუფლებამ საოჯახო ვიდეოარქივი მოიპარა

### რა სკანდალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს „ქართული ოცნება“?

შალვა ჯოხაძე

ჩვენს ხელისუფლებას ჰაკერობაში ბიძინა ივანიშვილი ადანაშაულებს. „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის ცნობით, ივანიშვილის კომპიუტერზე კიბერშეტევა განახორციელეს და საოჯახო ვიდეოების არქივი გადაწერეს. მოკლედ, თავი ჰოლივუდის მიერ გადაღებულ ფილმებში გეგონება, თუმცა ვანო მერაბიშვილის უწყებას ასეთი შეტევის განსახორციელებლად საჭირო აპარატურა რომ ექნება, ეჭვიც არ შეგეპაროთ. სასაცილო ის იქნება, თუ ეს აპარატურა ბიძინა ივანიშვილის მიერ მიცემული ფულითაა ნაყიდი.

ასეა თუ ისე, მოპარული ვიდეოდან მათთვის საინტერესო მონაკვეთი ამოჭრეს და სხვადასხვა საიტზე გაავრცელეს. ამ ვიდეოს სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვისაც ეს ვიდეოკადრები არ უნახავს, ვეტყვით, რომ ის 1998 წლის 14 სექტემბერსაა გადაღებული. მასში ასახულია ივანიშვილის ერთ-ერთი შვილის დაბადების დღე, სადაც პატარებსაც და დიდებსაც მიწვეული კლოუნები ართობენ. კლოუნები მათ სხვადასხვა თამაშით და შეჯიბრით ამხიარულებენ. მხიარულობენ ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინა ხვედელიძეც. „ფეისბუქზე“ გახსნილ გვერდზე „გავიცნოთ ბიძინა ივანიშვილი“, რომელიც ანტიბიძინისტური განწყობებით გამოირჩევა, ეს შეჯიბრი-თამაში ასე აღწერეს:

– ერთ-ერთ რუსულ საიტზე გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად პიკანტურ სიტუაციაში იმყოფება. რუსული „კორპორატივკების“ მსგავსი ვიდეოები ალბათ ბევრი გინახავთ, არყის ბოთლების ფონზე.

ამ ვიდეოს უცნაურობა ისიცაა, რომ ოლიგარქი ხან მუცელზე ბუშტაკრული ეკატერინა ხვედელიძეს ეხახუნება, ხან ცდილობს გრძელი ყვითელი ბუშტი როგორმე კაბის ქვემოთ შეუცუროს.

ეკატერინაც საკმაოდ მონდომებით იწევს კაბას მაღლა. მთავარი მაინც დაბნეული ბავშვები არიან, რომლებსაც ვერაფრით გაუგიათ, რამ გადარია ან ბიძინა, ან მისი ცოლი.



თუმცა, როგორც ირკვევა, რუსები არაფერ შუაში არიან და ეს შავი პიარი ხელისუფლების მორიგი ხრიკია ივანიშვილის წინააღმდეგ.

– სააღდგომო დღესასწაულების პერიოდში, სოფელ ჭორვილაში ბიძინა ივანიშვილის ოჯახის სტუმრობის დროს, განხორციელდა კიბერ-შეტევა, რის შედეგადაც მათი კუთვნილი კომპიუტერიდან საოჯახო ვიდეოარქივი მოიპარეს. ამის შემდგომ, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ძალოვანი სტრუქტურებიდან კონტროლირებადი ერთ-ერთი ინტერნეტტელევიზიის მეშვეობით გავრცელდა 1998 წლის 14 სექტემბერს გადაღებული ვიდეოჩანაწერის მცირე ნაწილი, დამონტაჟებული სახით. ეს გახლავთ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის კიდევ ერთი უბადრუკი მცდელობა, რასაც დარწმუნებულნი ვართ, ქართული საზოგადოება თვითონ გასცემს საკადრის პასუხს, – აცხადებენ ივანიშვილის პრესსამსახურში.

ისინი აქვეყნებენ ამ ვიდეოს სრული და ხელუხლებელი, დაუმონტაჟებელი სახით. ეს ვიდეო დაახლოებით 50-წუთიანია.

– ასეთი საქციელით მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მისთვის ისეთი რამ, რასაც ჰქვია ოჯახი, პირადი ცხოვრება, პრივატული სივრცე და ა.შ. საერთოდ არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს და ის ყველაფრის მკადრებელია. ისინი მხოლოდ სიბრალულს იმსახურებენ, რადგან არა აქვთ ამ ყველაფრის არც აღქმის და, შესაბამისად, არც განცდის უნარი.

ჩვენთვის ბევრად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა კრიმინალური ჯაჭვია შექმნილი ინტერნეტპროვაიდერების მონაწილეობით, ლოკალური და გლობალური ქსელებიდან, პირადი და საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების მიზნით და არის თუ არა ამის ორგანიზატორი საქართველოს ხელისუფლება. ამ მიზნით დაწყებულია გამოძიება. უკვე ვფლობთ გარკვეულ ინფორმაციას და შესაძლოა, ძალიან მალე როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებას ვამცნოთ ამჯერად ნამდვილად სკანდალური ინფორმაცია, თუ რასთან გვაქვს საქმე, – აცხადებენ პრესსამსახურში.

2012, 26 აპრილი, №98

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ წიკლაური: „ქართულმა ოცნებამ“ პროვოკაცია მოგვიწყო

თეა მარხვაიძე



პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი პლენარულ სხდომაზე დღეს მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა. როგორც მის განცხადებაში არის ნათქვამი, 2012 წლის 24 აპრილს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქციამ --„ერთობა სამართლიანობისათვის“ — გამოაქვეყნა პროვოკაციული განცხადება, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების მშვიდობიანი თანაცხოვრების პროცესის დაზიანებას. კომიტეტში მიიჩნევენ, რომ აღნიშნული განცხადება ემუქრება საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ მრავალფეროვნებას და ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების ნიშნებს შეიცავს.

„საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფო კავკასიას განიხილავს, როგორც ერთიან რეგიონს და მისთვის მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს როგორც ჩრდილოეთკავკასიელი, ისე სამხრეთკავკასიელი ხალხების კულტურა, ისტორია და მშვიდობიანი ურთიერთობების ტრადიცია.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ საქართველოში მცხოვრები კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან მტრულად განწყობილ ბანაკებად ხელოვნურად დაყოფა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობაა და მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფოს ავტორიტეტის შესუსტებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი მოუწოდებს ყველა ოპოზიციურ ძალას და განსაკუთრებით იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ წარმომადგენლები ფრაქციაში — „ერთობა სამართლიანობისათვის“ — გაემიჯნონ აღნიშნულ უპასუხისმგებლო განცხადებას და მკაფიოდ გამოხატონ საკუთარი პოზიცია მრავალეთნიკური ქართველი საზოგადოების წინაშე“, — ნათქვამია დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ინციდენტი ფრაქციის წევრს, პოლიტიკური პარტია „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბალათურიასა და აზერბაიჯანელ დეპუტატ აზერ სულეიმანოვს შორის მას შემდეგ მოხდა, რაც ბალათურიამ პარლამენტის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების ფაქტი გაიხსენა და იკითხა, თუ რას აპირებს იგივე პარლამენტი სომეხთა გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით.

რატომ მიაჩნიათ ბალათურიას განცხადება პროვოკაციად, ვინ დგას ამ განცხადების უკან ამ თემებზე „ახალი თაობა“ უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს ნუგზარ წიკლაურს ესაუბრება.

**ნუგზარ წიკლაური:**

— „ქართული ოცნების“ საპარლამენტო წარმომადგენლობის მხრიდან განხორციელდა ძალიან მძიმე პროვოკაცია. ეს პროვოკაცია მიმართული იყო საქართველოში მცხოვრები სომხების და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ.

*— რაში სჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“ მათთვის პროვოკაციის მოწყობა?*

— მათ სურდათ ქვეყანაში ეთნიკურ ნიადაგზე შუღლი გაეღვივებინათ. რაც არის რუსეთის დაკვეთა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ აკეთებს დღეს რუსეთის ხელისუფლების საქმეს საქართველოში.

*— დღეს საქართველოში რამდენად არის ეთნიკური შუღლის გაღვივება შესაძლებელია?*

— იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. ამის იმედს მე ჩვენი მოქალაქეების განწყობა მაძლევს. დარწმუნებული ვარ, რომ არც აზერბაიჯანელი და არც სომეხი მოსახლეობა ასეთი ტიპის პროვოკაციებს არ აჰყვება. ყველამ გაიგოს, რომ კრემლის რუსულ ოცნებებს საქართველოში ახდენა არ უწერია.

*— რუსულ ოცნებაში რას გულისხმობთ?*

— რუსეთის ხელისუფლებას სურს, რომ საქართველოში მოსახლეობის დაყოფა ეთნიკური ნიშნით მოხდეს. მათ დიდი სურვილი აქვთ, რომ საქართველოს მოქალაქეებს შორის მოხდეს ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება. ამის გაკეთებას არაერთხელ შეეცადნენ. ჩვენ კარგად ვიცით, როგორი მძიმე წარსული ჰქონდა როგორც ქართველ ერს, ასევე ჩვენს მოძმე სომხებსა და აზერბაიჯანელებს. არავის არ მივცემთ იმის უფლებას, რომ ეს მძიმე წარსული გამოიყენონ. ასე რომ, ჯონდი ბალათურიას პროვოკაციები არ გაუვა.

*— აქცენტი რატომღაც ჯონდი ბალათურიაზე კეთდება. არადა, 23 აპრილს საქართველოს პარლამენტს სომხეთის სამოციქულო ეკლესიამაც მიმართა ისინი ითხოვენ სომეხთა გენოციდის აღიარებას. მიმართვას ხელს აწერს 40-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაც. ამაზე რას იტყვით?*

— ამაზე ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სომხეთიც, აზერნაიჯანიც და თურქეთიც საქართველოს მეზობელი სახელწიფოებია. ჩვენი სახელმწიფოსთვის ამ ქვეყნებთან მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. ყველამ კარგად ვიცით, რომ თურქეთსა და სომხეთის მთავრობებს შორის გარკვეული მოლაპარაკებები გაიმართა. ყინული დაიძრა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ხალხები გადალახავენ იმ გაუცხოებას რაც მათ შორის მოხდა. მათ ძალიან მძიმე წარსული აქვთ. იხევე, როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს.

*— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ისინი საერთო ენას გამონახავენ?*

— ისტორია ძალიან მძიმეა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ამ წარსულის გადალახვა არ შეუძლიათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი საერთო ენას გამონახავენ.

*— თქვენ არ უპასუხეთ კითხვას, რა პასუხი ექნება საქართველოს ამ მოთხოვნაზე. ჩვენ ხომ ჩერქეზების გენოციდი ვაღიარეთ.*

— კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სომხეთთანაც, აზერბაიჯანთანაც და თურქეთთანაც კარგი ურთიერთობები გვაქვს. სამივე ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაკავშირებს. საქართველო არ აპირებს, რომ მათ ურთიერთობას ვერდიქტი გამოუტანოს. რადგანაც ნებისმიერი გადაწყვეტილება დააზარალებს, როგორც სომხეთს, ასევე აზერბაიჯანსა და თურქეთს.

# ძამბოლატ თედეევი: „კოკოითი ცხინვალში ვერ ჩამოვა!“

თეა მარხვაიძე

ოსური ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ძამბოლატ თედეევმა თავისი გაიტანა და ცხინვალში მაინც ჩავიდა. ის ცხინვალიდან გასული წლის ოქტომბერში გააძევეს. მას არც საპრეზიდენტო არჩევნებში მისცეს მონაწილეობის უფლება. არადა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, მას უპრობლემოდ შეეძლო გამარჯვება.



პოლიტიკურ ამბიციებს მისი სპორტული კარიერაც შეეწირა. მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელად აღიარებული მოულოდნელად ჩამოაშორეს რუსეთის ნაკრებს. ამბობენ, რომ ამაში ბიზნესმენ გოჩა ძასოხოვის ხელი ურევია.

რუსულ და ოსურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად არჩეულ ლეონიდ თიბილოვს ინაუგურაციაზე თედეევის მიწვევა სურდა. რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ეს არ დაუშვა. ამისთვის ყველაფერი გააკეთა ედუარდ კოკოითიმაც. რომელსაც თედეევთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაპირისპირებული.

როგორც ოსური პორტალები იუწყებიან, ინაუგურაციის შემდეგ თედეევი ცხინვალში ჩავიდა. პორტალ „ეხო კავკაზას“ ცნობით, კი თედეევი და თიბილოვი ერთმანეთს შეხვდნენ.

— მე და თიბილოვი ერთმანეთს შევხვდით, გამარჯვება მივულოცე. ამ ადამიანს სურს, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა გააერთიანოს, — განაცხადა „ეხო კავკაზასთან“ საუბარში თედეევმა.

შარშანდელი არჩევნებიდან მოყოლებული ცხინვალში სერიოზული დაპირისპირებაა. აქ საქმე კინაღამ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა. გავრცელებული ინფორმაციით, თიბილოვი აპირებს თედეევს ახალ ხელისუფლებაში რაიმე თანამდებობა შესთავაზოს. ამ ინფორმაციას თედეევი არც უარყოფს და არც ადასტურებს.

— მე მას ვუთხარი, რომ ვიქნები იქ, სადაც საჭიროა. მის დასახმარებლად ყველაფერს გავაკეთებ. ეს იყო და ეს. მას არანაირი თანამდებობა არ შემოუთავაზებია. ამჯერად მეც მხოლოდ მორალური მხარდაჭერა შემიძლია გავუწიო. — ამბობს ოსური ოპოზიციის ლიდერი.

„ეხო კავკაზასთან“ საუბარში თედეევი ამბობს, რომ ამ ეტაპზე მეტის შეთავაზება არ შეუძლია. რადგანაც თავისი საქმე ბოლომდე აქვს მისაყვანი. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ოლიმპიადა აქვს. თორემ ბოლომდე მისაყვანი, როგორც ამბობენ სხვა საქმეც აქვს. 6 წლის წინ მას ძმა მოუკლეს. ამ მკვლელობის დამკვეთად კოკოითი სახელდება. რომელიც თავის დროზე პრეზიდენტად ძმებმა თედეევებმა გაიყვანეს.

— როცა ვამბობ საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო მხედველობაში ოლიმპიადა მაქვს. ლონდონის ოლიმპიადამდე ნახევარი წელია დარჩენილი. არ მინდა გუნდი შუა გზაზე მივატოვო, — ამბობს თედეევი.

მართალია ის თავისუფალ ჭიდაობაში მთავარი მწვრთნელის პოსტს ჩამოაშორეს, მაგრამ მრჩევლად დატოვეს. და როგორც ამბობენ, მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

„ეხო კავკაზასთან“ საუბარში ის ინაუგურაციასთან დაკავშირებულ გაუგებრობზეც საუბრობს.

— მე ინაუგურაციას არ დამასწრეს. ბევრმა ჩათვალა, რომ ეს თიბილოვის სისუსტე იყო. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. მიმაჩნია, რომ ის გამოცდილი და გაბედული პოლიტიკოსია. მე ცხინვალში ედუარდ კოკოითის ხალხმა არ ჩამიშვა. იმ მომენტისთვის მათ ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდათ, — ამბობს ოპოზიციონერი.

თედეევის გარდა თიბილოვს მხარს სხვა დაჯგუფებებიც უჭერდნენ. ოსური პორტალები წერენ, რომ ამ კლანებს შორის შეიძლება ხმაურიან დაპირისპირებებს ჰქონდეს ადგილი. ამის მიზეზი კი გავლენის სფეროების გადანაწილება იქნება. აქამდე ყველაფერს კოკოითის ხალხი აკონტროლებდა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# 2 მაისს სიცოცხლის უფლებას დავიცვავთ!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სამთავრობო ორგანიზაციას, ყველა მოქალაქეს. ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა შეხედულებები აქვთ მათ. ვიბრძვით ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის დასამკვიდრებლად. ვინც პატივს სცემს და იზიარებს დემოკრატიულ პრინციპებს, ეს იქნება სიცოცხლის უფლება, თავისუფალი სასამართლო თუ არაპოლიციური სახელმწიფო, ყველა ასეთ ადამიანს ველოდებით 2 მაისს კორტებთან სიცოცხლის უფლების დასაცავად.

*— ქუჩის აქციებით ზეწოლა რა საკითხთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს?*

— აქციების მთავარი მოთხოვნა იქნება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და არა შეზღუდვა. ქუჩის აქციების მთავარი მოთხოვნა არჩევნებამდე 6 თვით ადრე მიზანშეწონილი იქნება, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება იყოს. მანამდე არის რიგი თარიღები, 6 მაისი — გიორგობის დღესასწაული, რომელიც პოლიციის დღედ შერაცხეს; 8 მაისი — გამცემლიძის მკვლელობის დღე, 26 მაისი — წლისთავი, როდესაც დახოცეს ადამიანები სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ აქციაზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ კონკრეტულ ღონისძიებას.

*— აქციას პარლამენტის წინ გეგმავთ? მგონი, ხელისუფლება იქ რაღაცას აწყობს.*

— არ არის პრობლემა. ჩვენ პროვოკაციაზე არ წავალთ. ვიცი, სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკის — „დამზადებულია საქართველოში“ — გამოფენას აპირებენ. ჩვენ აქციას კანონის ფარგლებში გავმართავთ. თუ მოვლენ და დაგვარბევენ, ისიც არ იქნება პრობლემა. 2 მაისი არის შესანიშნავი თემა, ქართველმა საზოგადოებამ ჩააბაროს ტესტი, რომ ის არ ეგუება ძალადობას, არჩევნების წინ დაამტკიცოს, რომ ის ბრძოლისთვის მზადაა. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი ღირსების სადარაჯოზე დგომა. ყველაზე მთავარია, კომიკურ სიტუაციაში მყოფ სააკაშვილს ადეკვატური პასუხი გავცეთ, ვინაიდან ეს ადამიანი არის გათავხედებული, ვნების ანგელოზებსაა აყოლილი, რაც მახათას მთაზე კარგად გამოჩნდა. როცა ის გალეშილ მდგომარეობაში მივიდა და შეურაცხყოფა მიაყენა როგორც საქართველოს ეკლესიას, ასევე ქართველ საზოგადოებას. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არაადეკვატურია და არ იქცევა პრეზიდენტის შესატყვისად. სააკაშვილი საარჩევნო პიარისტადაა ქცეული. დღეს გაჩნდა რეალური შანსი, რომ ოპოზიცია გაერთიანდეს. ამიტომ, როგორც ბატონ ივანიშვილის მხარეს, ასევე სხვებს მოვუწოდებთ, საერთო ენა გამონახონ. თუ სამოქალაქო საზოგადოება იქნება ინიციატორი ოპოზიციური ერთობისა, სააკაშვილი საბოლოოდ განწირულია დამარცხებისთვის. 2006 წლის 2 მაისს დახვრეტილი სტუდენტი ზურა ვაზაგაშვილი უნდა იქცეს სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური თუ არასამთავრობი სპექტრის გამაერთიანებლად და მომავალი წარმატების გარანტორად. ამ აქციაზე შერიგება უნდა მოხდეს. ჩვენ ვიწვევთ ყველას, გავაპროტესტოთ ძალადობა და მომავალში ერთად დადგომა შევძლოთ.

„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ფაცაციამ განაცხადა, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია არსებული რეჟიმის პირობებში ყველა ახალგაზრდის დაღუპვასთან დაკავშირებით აქციები და საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხოს, ვერ გაბედოს ამ ტიპის სხვა დანაშაულებების ჩადენა. საზოგადოებამ მათ არ უნდა აპატიოს იმ ახალგაზრდების განადგურება, რომელიც განხორციელდა სწორედ ამ ადგილას 2 მაისს ზურა ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების მიმართ.

— ჩვენ პრინციპულად ვიბრძოლებთ ყველა ნაბიჯზე, ყველა შესაძლებლობით, რომ არ დავუშვათ სხვა ახალგაზრდების განადგურება. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ სიცოცხლისთვის ვიბრძვით, ისევე, როგორც ბატონი ზურა ვაზაგაშვილის მამა, რომელიც თავის მთელ ცხოვრებას და სიცოცხლეს ყველა ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლის შენარჩუნებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას მიუძღვნის.

— სამწუხაროდ, ბატონ იური ვაზაგაშვილს, ფაქტობრივად, ოჯახი, შთამომავლობა გაუნადგურეს.

— პრაქტიკულად, ასეა. ჩვენ ვიცით ბევრი ოჯახი, რომელიც რეალურად განადგურდა. მათ შორისაა გირგვლიანების ოჯახი. დაიღუპნენ ქალბატონი ირინა ენუქიძე, სანდრო გირგვლიანის დედა. მისი ბაბუა, მამიდა. მთელი ოჯახი, მამის გარდა, გარდაიცვალა. ხელისუფლებამ გაანადგურა არა მარტო ერთი ოჯახი, გაანადგურა არა მარტო ერთი ახალგაზრდა, არამედ თაობა. ისინი იყვნენ ღირსეული ახალგაზრდები, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად აჩვენეს მაგალითი, თუ როგორ შეიძლება იბრძოლო თავისუფლებისა და ღირსებისთვის. რაც შარდენზე მოხდა, ეს იყო ღირსებისა და ადამიანობის გამოხატულება. სანდრო გირგვლიანი არის სახე ახალგაზრდისა, რომელიც არ შეუშინდა არც ახალაიას, არც მერაბიშვილის მეუღლეს და არც შს სამინისტროს მაღალჩინოსნებს. ის, რაც სანდრომ მაშინ მათ უთხრა, ეს იყო ღირსეული დამოკიდებულება. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის მაგალითებით საზრდოობდეს საზოგადოება. ეს იყო ისტორია. როგორც 300 არაგველისა და 9 ძმა ხერხეულიძეების ამბავი. ასე იქმნებოდა ისტორია. სანდრო გირგვლიანისა და ზურა ვაზაგაშვილის ისტორია არის გმირობის ისტორია. ისინი ჩვენი დღევანდელი რეალობისა და მომავალი საქართველოს სიმბოლური გმირები არიან. დარწმუნებული ვარ, მათი სახელი აღზევებული იქნება ქვეყნის მასშტაბით უახლოეს მომავალში, როცა ხელისუფლება შეიცვლება, ჩვენ სათანადო პატივს მივაგებთ ყველა იმ ახალგაზრდას, რომელიც შეეწირა საქართველოს თავისუფლებას, ღირსებასა და სამართლიანობას.

*— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება როგორ რეაგირებს ოპოზიციონერთა აქციებზე, მათ ხალხის პროტესტი აწუხებთ?*

— ვფიქრობ, რომ აწუხებთ. თუმცა, ხელისუფლებაში ისეთი ადამიანებია, რომლებიც, პრაქტიკულად, ყელამდე სისხლსა და სიბინძურეში არიან. არ არსებობს ცუდი სიტყვა, რომელიც მათ არ შეესაბამებათ. ამ ადამიანებს მხოლოდ ერთი რაღაცის ესმით. შიში, როცა ბევრი ხალხი გამოდის ქუჩაში. მათ მხოლოდ ხალხის პროტესტის მიმართ აქვთ რეაქცია. ხშირ შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივი გამტარები არიან. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მაგალითი ვაჩვენოთ საზოგადოებას, რომ ბრძოლა ყოველთვის, ყოველ ნაბიჯზე, რაც არ უნდა პატარა იყოს, მნიშვნელოვანია.

*— აქ, სადღაც, მგონი, დაფაც დგას წარწერით, რომ აქ დახვრიტეს ზურა ვაზაგაშვილი და მისი მეგობრები.*

— ის დაფა, სამწუხაროდ, მოხსნილია და უკანაა გადატანილი.

*— მოგეხსენებათ, აქ კორტები იყო და ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კორტების ადგილზე, რომელითაც მთელი საზოგადოება სარგებლობდა, რამდენიმე შენობის აშენება. გაქრა კორტები, რომლითაც ადამიანები სარგებლობდნენ.*

— ეს არის პირადად მათი ბიზნესი, როდესაც სხვა ადამიანებს უნადგურებენ ქონებას, გარემოს, ტერიტორიას და აშენებენ შენობებს, რომელიც ლანშაფტით არ შეესაბამება ძველ თბილისს. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მათთვის ბიზნესია. ყველაფერი, რაც აქ ხდება, ამაზე მიუთითებს. მშენებლობას აწარმოებს ჩინური კომპანია, რომელიც კარგად რეცხავს სახელმწიფოს მიერ მშენებლობისთვის გამოყოფილ ფინანსებს. როგორც ჩვენ ვიცით, ხელისუფლებამ ამ მშენებლობისთვის ჩინური კომპანია დაიქირავა. ჩინელებს უხდიან არაადეკვატურ ხელფასს, დაახლოებით 70 დოლარს დღეში. თუმცა, ამ ფულს ჩინელები ხელზე არ ღებულობენ. თანხა ილექება სხვაგან და შემდეგ ნაწილდება ხელისუფლების წარმომადგენელთა ბიზნესინტერესების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუნგ კო კიმი: „ქართული ბაზარი ძალზე სწრაფად მზარდია, ხოლო მაგთიკომი არის №1 ოპერატორი“

## მაგთიკომი და სამსუნგი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ




ანა ვაჩნაძე

გუშინ ქართული საკომუნიკაციო ბაზრის ლიდერმა, კომპანია მაგთიკომმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა მწარმოებელმა საკომუნიკაციო ბაზარზე „სამსუნგმა“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ამ ორი წარმატებული კომპანიის ბიზნესპარტნიორობის შედეგად ქართველი მომხმარებელი შეძლებს 25 აპრილიდან 1 აგვისტომდე შეიძინოს 4 სახის სმარტფონი და ერთი წლის განმავლობაში ისარგებლოს ერთი გიგაბაიტის მოცულობის უფასო ინტერნეტით.

კომპანიებს შორის ოფიციალური თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოსაწერად თბილისში ჩამოვიდა „სამსუნგ ელექტრონიქსის“ ცენტრალური აზიისა და კავკასიის პრეზიდენტი სუნგ კო კიმი. “სამსუნგი“ ტელეფონების (და არა მარტო) ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა. მარტო პირველ კვარტალში, მსოფლიოს მასშტაბით, მისმა გაყიდვებმა 88 მილიონი ერთეული შეადგინა, მათ შორის 44 მილიონი სმარტფონი. კონკრეტულად სმარტფონების შემთხვევაში დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდა სამსუნგის საბაზრო წილი მსოფლიოში. ეს ინფორმაცია მიუთითებს სმარტფონებზე მოთხოვნილების ზრდაზე და ცხადია, „სამსუნგიც“ სწორედ სმარტფონების ხარჯზე გეგმავს კიდევ უფრო მეტად გაზარდოს თავის საბაზრო წილი. ისიც ფაქტია, რომ დღეს ტელეფონის ფუნქციათა რაოდენობა და ხარისხი მჭიდროდ უკავშირდება ინტერნეტს, სწორედ ამიტომ, პირველი უმარტივესი და უპრაქტიკულესი შეთანხმებაც შედგა – სამსუნგი უზრუნველყოფს პრიმა კლასის სმარტფონების მოწოდებას, მაგთიკომი კი სწრაფ ინტერნეტს ამ სმარტფონებისთვის.

### რატომ საქართველო და რატომ მაგთიკომი?

ამ კითხვებზე სუნგ კო კიმს უმარტივესი პასუხი აქვს: ქართული ბაზარი ძალზე სწრაფად მზარდია, ხოლო მაგთიკომი არის №1 ოპერატორი – მათი დახმარებით მომხმარებელს ექნება ინტერნეტი ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ დროს!

სუნგ კო კიმი: „მიხარია, რომ საქართველოში „მაგთიკომის“ პარტნიორები გავხდით და „სამსუნგის“ სმარტფონის სისტემის ტელეფონებს ინტერნეტით სწორედ ეს კომპანია უზრუნველყოფს. „მაგთიკომი“ არის ინოვაციური, მუდმივად მზარდი კომპანია, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელი მაღალი ხარისხით უზრუნველყოს, ამასთანავე „მაგთიკომი“ არის ერთადერთი კომპანია, რომელიც მთელ საქართველოს ფარავს, შესაბამისად, კომპანიის პარტნიორად შერჩევა სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდა.

„სამსუნგი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა, რომელიც შარშან გაყიდვების მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზე გავიდა. ჩვენი მიზანია, უფრო მეტად გავფართოვდეთ და პარტნიორები ყველა ქვეყანაში გავიჩინოთ. „მაგთიკომი“ ფარავს მთელს საქართველოს და ამ პროექტის წყალობით ინტერნეტთან წვდომა ექნება ქვეყნის ნებისმიერ ადგილას მცხოვრებ ადამიანს. ვიმედოვნებ, რომ ეს თანამშრომლობა წარმატებული იქნება ორივე კომპანიისთვის და ქართველი მომხმარებლიც მოგებული დარჩება.“

თანამშრომლობით კმაყოფილია მაგთიკომის გენერალური დირექტორი დევიდ ლიც: „ვამაყობ, რომ ქართულ კომპანია „მაგთიკომს“ ასეთი ცნობილი პარტნიორი ჰყავს. უკვე 15 წელია, „მაგთიკომი“ მომხმარებელს მხოლოდ მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს და ამ მიმართულებით ვცდილობთ კიდევ უფრო წინ წავიდეთ. ამ დროისთვის, „მაგთიკომს“ 2 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს და ინოვაციური პროექტების განხორციელებით მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.“




HSPA+ ტექნოლოგიის უფასო ინტერნეტითსარგებლობის შესაძლებლობა სამსუნგის სმარტფონებს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მომხმარებლისთვის. სწორედ ამიტომ სამსუნგის სამსუნგ ელექტრონიკსის რეგიონული წარმომადგენელი საქართველოში, ნიკოლოზ დობორჯგინიძე იმედოვნებს, რომ მათი საბაზრო წილი, რომელიც ამჟამად 25%-დან 30%-მდე მერყეობს, სულ მალე 51%-ს გადააჭარბებს. ამისთვის კომპანია კიდევ მრავალ ღონისძიებას და ქუჩის აქციებსაც კი გეგმავს. თუ ინტერნეტზე მოთხოვნილების ზრდას, მაგთისეულ და სმარტფონების მაღალ ხარისხს გავითვალისწინებთ, მისი გათვლები უდავოდ საფუძვლიანი უნდა იყოს.

მაგთი MAGTI

ამასთანავე, მომხმარებლის ყურადღება უკვე კონცენტრირდება „სამსუნგის“ ახალ მოდელზე – Samsung GALAXY 3, თუმცა ამ მოდელის მახასიათებლები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. საზოგადოებისთვის GALAXY 3-ის მხოლოდ ფოტოებია ხელმისაწვდომი. ახალი მოდელის პრეზენტაცია მაისში ლონდონში იგეგმება. დობორჯგინიძის განცხადებით ჩვენთან ამ მოდელის წარდგინება ივნისის შუა რიცხვებში გაიმართება.

„სამსუნგის“ ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე სმარტფონები მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. მათ აქვთ მარტივი და დახვეწილი დიზაინი, თხელი კორპუსი - 8,94 მმ, გლუვი წახნაგები და სიფრიფანა ჩარჩო. ეს ხაზს უსვამს სმარტფონის დახვეწილობასა და თანამედროვე დიზაინს. ტელეფონს აქვს მძლავრი ორბირთვიანი 1,2 მეგაჰერცი სიმძლავრის პროცესორი, ეს უზრუნველყოფს ინტერნეტგვერდების სწრაფად ჩატვირთვას, რამდენიმე პროცესის დაუბრკოლებრივ მართვას და მონაცემთა გადაცემის ელვისებურ სიჩქარეს. HSPA+ ინტერნეტ პროტოკოლის მხარდაჭერა მონაცემების ელვისებური გადაცემის გარანტიას იძლევა (21მბ), იგი სამჯერ აღემატება ამ პროტოკოლის წინა ვერსიის სისწრაფეს HSDPA-7მბ/წ.

SAMSUNG GALAXY Nexus კი მსოფლიოში პირველი სმარტფონია AndroidTM 4.0 Ice Cream Sandwich ბაზაზე. აღსანიშნავია, რომ ტელეფონის განბლოკვა ღიმილის მეშვეობითაა შესაძლებელი. ანუ სხვადასხვა პაროლების დამახსოვრება საჭირო აღარ არის, საკმარისია, პატრონმა „გაუღიმოს კამერას“ და ბლოკი მოიხსნება. ამ ტელეფონიდან ასევე შესაძლებელია google-ის უახლესი სერვისების განახლებული ვერსიების გადმოტვირთვა. მათგან ყველაზე პოპულარული კი სმარტფონში უკვე დაყენებულია.

ასევე, ტელეფონი აღჭურვილია 5-მეგაპიქსელიანი ფოტო-ვიდეოკამერით, რომელსაც აქვს, როგორც ავტოფოკუსირებისა და სიბნელეში გადაღების რეჟიმი, ასევე პანორამული გადაღების რეჟიმიც. ამ სმარფონის გამოყენებით შესაძლებელია ფოტო/ვიდეოს გადაღებაFullHD ფორმატში, შემდეგ კი მისი რედაქტირება და მეგობრებთან გაზიარება.

ტელეფონების ფასი 950 ლარიდან 1200 ლარამდე მერყეობს. აქციაში მხოლოდ ის ტელეფონები ჩაერთვება, რომელთა დისტრიბუციაც „სამსუნგის“ მიერ ოფიციალურად ხორციელდება. მათი შეძენა შესაძლებელი იქნება როგორც „მაგთიკომის“ ოფისებში, ასევე ნებისმიერ მაღაზიაში, სადაც „სამსუნგის“ ჰოლოგრამიანი ტელეფონები იყიდება.

ასე რომ, დღეიდან მომხმარებელს უკვე აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს „სამსუნგის“ სმარტფონები და მიიღოს „მაგთიკომისგან“ უფასო ინტერნეტი და სხვადასხვა საჩუქარი. საჩუქრის მისაღებად აქციის ფარგლებში შეძენილ ტელეფონზე მომხმარებელმა *222# უნდა აკრიფოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაქარია ქუცნაშვილი: „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებებს მალე მოეღება ბოლო“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუს ზაქარია ქუცნაშვილთან

*— ბატონო ზაქარია, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კოალიცია განსაკუთრებულ აქტიურობას ივნისიდან დაიწყებს და პიკი სექტემბერ-ოქტომბერში იქნება. ამ ფონზე დღეს მაინც არსებობს აზრი, რომ კოალიციის აქტიურობა მოიკოჭლებს. რას მიაწერდით ამას?*

— პირველი, რითაც შეიძლება ამ განწყობის არსებობა ავხსნათ, არის ის, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ მივიჩნევთ, ყველაფერი კეთდება უნაკლოდ და საუკეთესოდ. ჩვენ არა ვართ ადამიანები, ვინც ვაიდიალიზებთ ჩვენს მოქმედებებს და მივიჩნევთ, რომ ყველაფერს ვაკეთებთ იმაზე ათჯერ კარგად, ვიდრე ჩავიფიქრეთ. საკითხი ასე არ დგას. მე მიმაჩნია, რომ სწორედ ის ჯგუფი დგება მცდარ გზაზე და ის ჯგუფი ღუპავს თავსაც და ქვეყანასაც, რომელიც თავის თავს და თავის მოქმედებებს უნაკლოდ და შეუმცდარად მიიჩნევს. მე ამ განწყობის არსებობას უფრო ვხსნი თავად ბიძინა ივანიშვილის პიროვნული ფაქტორით. საზოგადოება ხედავს, რომ ერთ მხარეს დგას გაუწონასწორებელი, ემოციური ლიდერი, რომელიც დარბის, ყვირის, ჩხუბობს. ილანძღება და მეორე მხარეს დგას წყნარი, გაწონასწორებული ლიდერი, რომელიც თავის საქმეს აკეთებს, თან არც ილანძღება და არც ჩხუბობს. ის სტერეოტიპი, რაც ჩვენთან ჩამოყალიბდა ლიდერის გარშემო, ნელ-ნელა იცვლება. ლიდერი შეიძლება იყოს არა მოჩხუბარი და მოყვირალი, არამედ დალაგებული და გაწონასწორებული, დინჯი ადამიანი. მე უფრო ამით ავხსნი, რომ საქმიანობა მიმდინარეობს გეგმაზომიერად. საქმიანობა განვითარდა ორი მიმართულებით: ერთი — კოალიციის მშენებლობით, მეორე — პოლიტიკური პარტიის მშენებლობის მიმართულებით. ყველა ეტაპს გავდივართ და ვცდილობთ, ეს ორი პროცესი ვაწარმოოთ ჰარმონიულ გარემოში და არა დაპირისპირებულში. ალბათ ესეც არის ამ განწყობის ჩამოყალიბებაში. იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, არ არსებობს. ის დღეს საზოგადოების თვალში წარმოდგენილია, როგორც ხელისუფლება. დამისახელეთ, ვინ არის ნაცმოძრაობაში, ვთქვათ, საერთაშორისო მდივანი. ანდა იცით, ვინ არის ნაცმოძრაობის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ან ვინ არის იდეოლოგიური მდივანი და ხაზინადარი?! ჩვენ ვიცით, ვინ არის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. ახლახან გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანით შეცვალეს.

*— ფაქტია, სააკაშვილი ივანიშვილთან პოლიტიკური ბრძოლის განსხვავებულ მეთოდებს იყენებს, ვიდრე წინა წლებში ვნახეთ ოპოზიციის აქტიურობის დროს. რა გათვლები გაქვთ, რაზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება? ნოდარ ჯავახიშვილმა „ქართუ ბანკის“ გაკოტრებაც არ გამორიცხა.*

— საინტერესო კითხვაა. შეიძლება ვარაუდით და დაშვებით დავუშვათ ყველა მოსალოდნელი სცენარი. აქ მთავარი ისაა, საარჩევნო სტრატეგია აგებული იქნება თავდაცვით თუ აქტიური ქმედებების სტრატეგიაზე. თუ თავდაცვით სტრატეგიაზე იქნება აგებული, რაც მცდარი მიდგომა იქნება, კოალიცია აღმოჩნდება მომლოდინეს მდგომარეობაში. ჩვენ ამას არ ვაპირებთ. ხოლო თუ ავირჩევთ აქტიური მოქმედებების სტრატეგიას, ამ შემთხვევაში მათ ჩავაყენებთ მორეაგირე პირის პოზიციაში. ცხადია, საარჩევნო სტრატეგიის თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭება აქტიურ მოქმედებებს. უბრალოდ, როგორც იტყვიან, ყოველთვის უნდა იცოდე, რა, როდის, როგორ და ვისი მეშვეობით გააკეთო. თუ როგორ უნდა გააკეთონ, ეს ჩვენთვის ცნობილია — ტყუილი მედიის და პოლიციის საშუალებით. თუმცა თანდათან მოუმატებენ და იქნება ამომრჩევლის მოსყიდვა სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით. ხვდებიან, რომ უკვე ყველა ხმა სჭირდებათ და დაინახავთ, რომ ცდილობენ მშრალ ხიდზე გარე ვაჭრობა აღადგინონ; დეზერტირების ბაზართან გაჩნდა ფირნიში, რომ აქ იქნება, ოღონდ პატარა მოცულობის. ხვდებიან, რომ პოლიციელების და პედაგოგების ხმები აღარ ყოფნით. ანუ, ყველა ხმა სჭირდებათ, გამარჯვება რომ მოიპოვონ. ამიტომ მათი ქმედებების პროგნოზირება შესაძლებელია. ამ ფონზე უნდა დავსახოთ მოქმედებების სტრატეგიაც, რომელიც მოგვცემს მათი ქმედებების განეიტრალების, ხოლო ჩვენი ქმედებების განხორციელების საშუალებას.



*— არსებობს ინფორმაცია, რომ პოლიციის წარმომადგენლები სამოქალაქო ტანსაცმელში დადიან და არკვევენ, ვინ არ არის ხელისუფლების მხარდამჭერი. პოლიციელთა ნაწილი ტაქსაობს და ამ მხრივ აკონტროლებს ხელისუფლება ოპონენტთა შესაძლებლობებს. ამ ფონზე რეპრესირებულთა რიცხვი, ბუნებრივია, გაიზრდება. რას დაუპირისპირებ ამას? ხალხს დაცვის მექანიზმები აინტერესებს, რადგან იცის, რომ არაერთი ოპოზიციის მხარდამჭერია დღეს ციხეში.*

— ავტორიტარული რეჟიმის პირობებში აბსოლუტური გარანტიების მიცემა ადამიანებისთვის, რომ ამ პერიოდში თუ ისინი გააკეთებენ თავისუფალი ქმედებების არჩევანს — ან სამსახურიდან არ გაათავისუფლებენ, ხოლო თუ საბაბს მისცემ, არ დააკავებენ, არ იქნება სწორი. ხალხის დაიმედება, რომ თქვენ არ დაკარგავთ სამსახურს და ხელს ვერ დაგაკარებენ, ამ ეტაპზე იქნება არასწორი. წარმატება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მოქალაქეები დაარწმუნოთ, რომ ეს გათავისუფლება და დაკავება, რაც შეიძლება მოხდეს, გაგრძელდება მაქსიმუმ 4-5 თვის განმავლობაში.

*— ანუ შემდეგომ ყველა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და უკანონო პატიმარი გამოვა?*

— არა მარტო ეს, არამედ უკანონოდ გათავისუფლებულები აღდგებიან სამსახურებში. უკანონოდ დაჩაგრულები აღდგებიან უფლებაში. მიეცემათ კომპენსაცია და ა.შ. ანუ წავახალისოთ თავისუფლება და არა მორჩილება. თუ ადამიანი შიშისგან კანკალებს და არ აქვს იმის ნებისყოფას, რომ სამსახურის გარეშე იყოს იმის გამო, რომ ოჯახს უჭირს; არ აქვს იმის ნებისყოფა, რომ თავისუფლების აღკვეთას შეეგუოს; რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი სახელმძღვანელო პოზიციაზე არ უნდა გაუშვა. ის ლიდერი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, მაგალითის ძალა რჩება მთავარ ინსტრუმენტად საზოგადოებრივი განწყობების შექმნის დროს. თუ პოლიტიკური ლიდერები დაარწმუნებენ ხალხს, რომ უკან დამხევები არ არიან და ბოლომდე იბრძოლებენ კანონიერი მიზნის მიღწევისთვის, საზოგადოება მათ გაყვება. ჩვენი ვარაუდით, მართლაც ივნისი იქნება გარდამტეხი თვე განწყობების შესაქმნელად. ამიტომ დარბის სააკაშვილი, მასაც უნდა მაის-ივნისში შექმნას გარდამტეხი განწყობა იმისა, რომ ხელისუფლება რჩება. სასამართლოებსაც, რომელთაც მასობრივ დარღვევებზე აქვთ საქმეები, საქმეების განხილვა შეჩერებული აქვთ, ელოდებიან პროცესს. საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებულების ათასობით საქმე დევს სასამართლოებში და არ იხილავენ. ყოველგვარი კანონი დარღვეული აქვთ. თბილისში შემოვლითი რკინიგზის საქმეები დევს ანუ რეალურად, რომელი საქმეებიც ბევრ მოქალაქეს ეხება, სასამართლო ცდილობს ამ საქმეების განხილვა გაჭიმოს. წინასაარჩევნოდ გამოიკვეთება ხელისუფლების პოზიცია ამ საქმეებზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ მაგალითის ძალით, ერთიანობით, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფის სისტემის შექმნით, ქომაგის ინსტიტუტის შემოღებით, მედიაუზრუნველყოფის დახმარებით უნდა შევქმნათ კომპლექსური გარემო, სადაც უკვე სისტემა იმუშავებს. ეს საბოლოო ჯამში „არ მეშინიას“ განწყობას შექმნის. ეს განწყობა გარდაიქმნება იმად, რამაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დაგვანახა, რომ ხალხი ტყვიას აღარ უშინდება და იბრძვის. ჩვენ ვცდილობთ, არ დავუშვათ, რომ საქმე აქამდე მივიდეს. ამიტომაც თქვა ივანიშვილმა, როცა პოლიტიკაში შემოვიდა, მე ჩავთვლი, რომ დავმარცხდი ამ ბრძოლაში, თუ მიზნის მისაღწევად დამჭირდა წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობრივი გზების გამოყენება. აქედან გამომდინარე მესმის, რომ ხელისუფლება ცდილობს იმედების და მოლოდინების გაცრუებით შექმნას მასობრივი ფსიქოლოგიური გარემო, რომ ესენი რჩებიან. შემთხვევითი არ არის, 2015 წელზე რომ ლაპარაკობენ.

*— ტრამპის ვიზიტით სააკაშვილმა ივანიშვილის პარტიის დაფუძნების გადაფარვა სცადა? თუ ამ ნაბიჯით სააკაშვილმა გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების თვალში იმიჯის ამაღლება სცადა?*

— ორივე ერთად. ერთი მხრივ, უნდოდა ივანიშვილის პარტიის დაფუძნებისთვის ჩრდილი მიეყენებინა, მეორე მხრივ, უცხოურ საზოგადოებას შექმნოდა იმის ილუზია, რომ უცხოელ ინვესტორებს დღე და ღამე არ სძინავთ იმაზე ფიქრით, ვინ უფრო სწრაფად ჩამოფრინდება საქართველოში ფულის ჩასადებად. ტრამპის ჩამოსვლიდან მეორე დღეს სააკაშვილი სვანეთში ავიდა და თქვა, გუშინ რაც ვილაპარაკე ტრამპთან დაკავშირებით, იმაზე სამჯერ მნიშვნელოვანია ის, რასაც დღეს ვაკეთებთო. ანუ ტრამპს უთხრა, ყველაზე მნიშვნელოვან პროექტს ვაკეთებთ თქვენი ჩამოსვლით და ამ სახლის შენებით საქართველოშიო და მეორე დღეს, სვანეთში რომ ავიდა, ჰიდროელექტროსადგურების საძირკვლის პრეზენტაციაზე, იქ თქვა, რომ ეს სამჯერ მნიშვნელოვანი საკითხია, რაზეც გუშინ ვილაპარაკეო.

*— ანუ ტრამპი სააკაშვილმა მეორე დღესვე „დაიკიდა“ სვანეთში?*

— ჰო. სააკაშვილი პიარტექნიკას კარგად ფლობს და ორიენტირებულია იმაზე, ადგილობრივს რა ესიამოვნება.

*— დაბოლოს, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა კობახიძემ არ გამორიცხა, რომ იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება არ დაარეგისტრიროს. რა ნაბიჯებს მიმართავთ ამ შემთხვევაში?*

— მე ლამის გამოვრიცხავ ამ შესაძლებლობას. მესმის მანანას სიფრთხილის. მან ეს თქვა, როგორც დაშვება. მე ამას რეალობაში გამოვრიცხავ. იმიტომ, რომ ხელისუფლებას იმდენი უხერხულობა შეექმნა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც ივანიშვილის მოქალაქეობას ეხება, რომ პარტიისთვის იგივე პრობლემების შექმნა ძალიან წამგებიანი იქნება. ხელისუფლებას ჩვევა აქვს, რომ თავის რაღაც შეცდომებზე ჭკუას სწავლობს. თავიდან ღია ბრძოლის მეთოდებს იყენებდნენ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, მერე ფარულ ძალადობაზე გადავიდნენ. ასე რომ, თეორიულად დაშვების დონეზე შეიძლება ეს დავუშვათ, მაგრამ პრაქტიკულად მე ამ ვარიანტს გამოვრიცხავ.




ყურადღება

პროექტი „კარდაკარი“ დაიწყო.

„კარდაკარი“ მთელი საქართველოს მასშტაბით 20 აპრილიდან 10 ივნისამდე განხორციელდება და 11100 რეგისტრატორი გადაამოწმებს ამომრჩეველთა სიას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ ამომრჩეველთა სიის დაზუსტებისათვის.

თუ ამ პერიოდის განმავლობაში თქვენთან არ მოვა კარდაკარის რეგისტრატორი ან მოვა და კვლავ დაგრჩებათ კითხვები, დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 262-32-32

ახლავე გადაამოწმეთ თქვენი მონაცემები

კომისიის ვებ გვერდზე: www.sia.gov.ge
ან sms საშუალებით ნომერზე: 2012

ჩაერთე!!!

ერთად დავაზუსტოთ ამომრჩეველთა სია

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისია

# ძამბოლატ თედეევი: „კოკოითი ცხინვალში ვერ ჩამოვა!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თედეევი ხმაურიან დაპირისპირებებს გამორიცხავს. ამტკიცებს, რომ თიბილოვის უკან არანაირი დაჯგუფებები არ დგანან. ამბობს, რომ ეს ის ხალხია ვისაც საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი გააჩნია.

გასულ წელს ჩატარებულ არჩევნებში თედეევი ალა ჯიოევას უჭერდა მხარს. ამ ქალს არჩევნები ფაქტიურად მან მოაგებინა. თუმცა მას გამარჯვება არ ჩაუთვალეს. როცა ხელახალი არჩევნები დაინიშნა, თედეევმა მონაწილეობა გადაწყვიტა. ამის გამო მას ჯიოევა შემოსწყრა. ის ინაუგურაციის ჩატარებას აპირებდა და თავი პრეზიდენტად სურდა გამოეცხადებინა. ამის გამო მას სერიოზული პრობლემები შეექმნა. კარგა ხნის განმავლობაში ის ნესტან-დარეჯანივით ჰყავდათ გამოკეტილი. ახლა ისიც თავისუფალია. და როგორც თედეევი ამბობს, მის ცხინვალში დაბრუნებას სიხარულით შეხვდა.

— მისი პირველი სიტყვები ასეთი იყო: როგორც იქნა, სახლში ხარ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე უნდა ვთქვა, რომ არავის არა აქვს უფლება, ნებისმიერ ადამიანს სახლში და სამშობლოში დაბრუნება აუკრძალოს. ჩვენი მოსახლეობის 50% კი ამის უფლება არ ჰქონდა, — ამბობს თედეევი.

ის მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზეც საუბრობს. თედეევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გასულ წელს აღიძრა. მას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში სდებენ ბრალს. გასულ წელს თედეევი ცესკომ რეგისტრაციაში არ გაატარა. ამის გამო ის და მისი მომხრეები ცესკოს შენობაში შეიჭრნენ.

თედეევი ამ ბრალდებას სისულელეს უწოდებს. მას იმედი აქვს, რომ ეს საქმე დაიხურება. მისი მტკიცებით, ეს ყველაფერი კოკოითის მოგონილი იყო.

კოკოითის თედეევი გაგდებულ პრეზიდენტს უწოდებს. მისი თქმით, კოკოითიმ იმდენი ცუდი რამე ჩაიდინა, რომ მას სამხრეთ ოსეთში არავინ ჩაუშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროკავშირი ქართული მედიის მონიტორინგს განახორციელებს

ნათია ხურცილავა

ფილიპ დიმიტროვი წინასაარჩევნოდ მოვლენების ობიექტურად და სამართლიანად გაშუქების აუცილებლობაზე საუბრობს. დიმიტროვი იხსენებს 2011 წლის წინასაარჩევნო პერიოდს, როდესაც ასევე განხორციელდა მედიის მონიტორინგი.

ევროკავშირის ელჩის განცხადებით, მაშინ ამ ამოცანას ქართულმა მედიამ თავი კარგად გაართვა.

–აუცილებელია, პროცესები სამართლიანად, გამჭვირვალედ და ობიექტურად გაშუქდეს. 2011 წელს ჩვენ წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მონიტორინგის კვლევა განვახორციელეთ და მაშინ გავარკვიეთ, რომ ქართულ მედიას საკმაოდ კარგად შეუძლია, ამ ამოცანას გაართვას თავი. იმედი გვაქვს, რომ 2012-2013 წლებში დაგეგმილი მონიტორინგისას კიდევ უფრო კარგ შედეგებს მივიღებთ, – განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში", სადაც მედიამონიტორინგის ახალი რაუნდის დაწყებასთან დაკავშირებული შეხვედრა გაიმართა.

ფილიპ დიმიტროვის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ მედიამ დემოკრატიული სტანდარტები დაიცვას.

დიმიტროვის განცხადებით საპარლამენტო არჩევნები ყველა დემოკრატიისთვის გამოწვევაა.

ევროკავშირის ელჩის განცხადებით საზოგადოება მედიას უნდა დაეყრდნოს, ამდენად, ის სამართლიანი და ობიექტური უნდა იყოს.

– არჩევნები კარს მოგვადგა და, ფაქტობრივად, ესაა დიდი გამოწვევა ყველა დემოკრატიისთვის. საარჩევნო პერიოდში არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა, ყოველთვის არსებობს გამოწვევები. არჩევნები წინააღმდეგობრივი საკითხია, მასში ყოველთვის არის გამარჯვებული და დამარცხებული. შეიძლება იყოს ისეთი სიტუაციები, როცა ყველა ბედნიერია, მაგრამ არჩევნები არის სიტუაცია, სადაც ერთი მხარე იმარჯვებს, მეორე – მარცხდება, ამიტომ კულტურა იმგვარად უნდა განვითარდეს, რომ საზოგადოებამ შედეგი მიიღოს. ამის მიღწევა რთულია, მაგრამ ამაში დიდი როლი ეკისრება მედიასაც და ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მედიას. ძალიან ხშირად მედია მიკერძოებულია და ეს არაა სიურპრიზი, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში ნამდვილად გვაქვს იმის ფიქრის სა-

*საქართველოში ევროკავშირის ელჩის, ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, მედიას უდიდესი როლი აკისრია საზოგადოების განვითარებისთვის, მით უფრო დიდია ეს როლი, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდია ქვეყანაში.*

შუალება, რომ მასმედიის ქცევა მიუახლოვდეს დემოკრატიის ზოგადი წესებით დადგენილ მოთხოვნებს, – აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა.

ის განმარტავს, რომ ევროკავშირის სურვილია, საქართველო დემოკრატიული და წარმატებული ქვეყანა იყოს. ევროკავშირი და გაერო-ს განვითარების პროგრამა მედიის მონიტორინგის ახალ რაუნდს იწყებენ.

ამის შესახებ საქართველოში გაერო-ს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა, ჯეიმი მაკგოლდრიკმა განაცხადა. მისი თქმით, მონიტორინგი 2012-2013 წლებში მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში განხორციელდება.

როგორც ცნობილია, მედიამონიტორინგი ყველა საინფორმაციო საშუალებაზე განხორციელდება.

მონიტორინგი განხორციელდება ტელევიზიებზე, გაზეთებზე, ინტერნეტმედიაზე, რადიომაუწყებლებზე. მონიტორინგის შედეგების გამოსაქვეყნებლად კი დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოყოფს.

– 2012-2013 წლების მედიამონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდს მოიცავს, დავაკვირდებით ყველა მედიასაშუალებას, ესაა ტელევიზია, ინტერნეტმედია და გაზეთები და პირველად მოხდება რადიომაუწყებლების მონიტორინგიც, – განაცხადა მაკგოლდრიკმა.

მისივე განმარტებით, ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც, თავის მხრივ, მედიის პროფესიონალიზმის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

– მედიის მონიტორინგი საზოგადოებასთან უკუკავშირის საშუალებაა, მედია ხელს უწყობს საზოგადოების ფორმირებას, ხოლო მედიის მონიტორინგი თავად მედიის ჩამოყალიბების გზაა, – აღნიშნა გაერო-ს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა. მედიის მონიტორინგს 2012-2013 წლებში განახორციელებს ოთხი არა-



სამთავრობო ორგანიზაცია: კავკასიიური კვლევითი რესურსების ცენტრი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ინტერნიუსი – საქართველო და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

როგორც გაერო-სა და ევროკავშირს წარმომადგენლები აცხადებენ, მონიტორინგის შედეგების განხილვა ყოველკვირეულ სატელევიზიო პროგრამაში „მედია მონიტორი" გაიმართება.

შეხვედრაზე, რომელშიც ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლების გარდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ, მედიაზე 2011 წელს განხორციელებული მონიტორინგის კვლევების შედეგების პრეზენტაციაც გაიმართება.

2011 წელს გარკვეული ტელეკომპანიების მიერ საარჩევნო საკითხების გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი დაბალია. ამის შესახებ ჟურნალისტებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ განუცხადა, რომელიც ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის პროექტში მედიაზე მონიტორინგს არჩევნების თემატიკაზე ახორციელებდა. ლომჯარიას განმარტებით, ოთხი ტელეკომპანიის მიერ საარჩევნო თემატიკის გაშუქებისას, ტონი უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი იყო. 2011 წელს მედიის მონიტორინგი ევროკავშირის დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ჩატარდა.

# დაბრუნდება თუ არა ქართული პროდუქცია რუსეთში?

ნათია ხურცილავა

**დასრულდა თუ არა ექვსწლიანი რუსული ემბარგო? გაარღვია თუ არა „ზედაზენმა" რუსული ტრამალები, რომელიც ონიშენკოს მწარე—მწარე ფრაზებით იყო ჩახერგილი. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშენკო მხოლოდ გამტარი იყო და საქმე „დიდ" პოლიტიკასთან გვქონდა. უფრო ზუსტად კი, პუტინის კაპრიზთან, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს რუსეთს ბორჯომის მიღებაზე უარი უთხრა.**

ამჯერად მოიხსნა თუ არა ემბარგო სხვა კომპანიებისთვის თუ ეს მხოლოდ გამონაკლისია?

ქართული ლიმონათი „ზედაზენი" 45 000 ბოთლი აზერბაიჯანის გავლით საქართველოდან 21 აპრილს გაიტანეს რუსულ ბაზარზე. რამდენად მნიშვნელოვანია რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის, მას შემდეგ, რაც ლამის მთელი მინისტრთა კაბინეტი ალტერნატიული ბაზრის მოსაძებნად ზრუნავდა.

არც ისე შორეულ წარსულში იყო დრო, როდესაც ქართული პროდუქციის ექსპორტი თავდაცვის სამინისტროზე გადიოდა.

ამ „პოლიტიკას" მოჰყვა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე თანხმობის მიცემა საქართველოს მხრიდან.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების ფასად ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების საკითხი ისევ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ცრუპენტელა და მატყუარა თვითონ თემურ შაშიაშვილია

მოძრაობა „თეთრების" ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი თავის ინტერვიუში ერთ-ერთ გაზეთში ჟურნალისტთან საუბარში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ცრუპენტელად მოიხსენიებს და არც სხვა ეპიტეტებსაც იშურებს მისთვის, უწოდებს რა სულელს და დემაგოგს, ამას ამბობს პიროვნება, რომელსაც ჩემი აზრით არანაირი მორალური უფლება არ აქვს იმისათვის, რომ თავისი ეს მოსაზრებები მოახვიოს საზოგადოებას. რასაც ვამბობ ამას არ ვიძახი უბრალოდ.



მე, არჩილ გორდულაძე 47 წლის, მშენებელი ინჟინერი, დაოჯახებული, ორი შვილის მამა, უპარტიო, საქართველოს მოქალაქე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თემურ შაშიაშვილს, რომელიც მიჩვეულია თავისი კუთხური იმერული კილო-კავით ლანძღვა-გინებას და წყევლას, რაც არაერთხელ გამოუხატავს, არ არის ის პიროვნება, რომ ასე უდიერად მოიხსენიოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ეს ის შაშიაშვილია, რომელიც თავის დროზე შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იმერეთს ხელმძღვანელობდა როგორც გუბერნატორი და თავისი დაკვეთილი სატელევიზიო თუ სამაუწყებლო გადაცემით, გისმენთ გუბერნატორი, თუ გესაუბრებათ გუბერნატორი, გამოთაყვანების გაკვეთილებს უტარებდა იმერეთს და ამ მიმართულებით საკმაოდ კარგად იყო განვითარებული თავისი დემაგოგიის ხარისხით.

ბატონი თემური იყო სერიოზული დამცველი ისეთი პიროვნებისა, როგორიც იყო აწ განსვენებული მაშინდელი „ზესტაფონის ფეროს" მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი დავით



შალიკაშვილი, რომელმაც ძალიან ნეგატიური როლი ითამაშა მაშინდელი ზესტაფონის „ფეროს" ქარხნის მუშაობაში და პრაქტიკულად ყველასათვის ცნობილ ამ ცინიკოს პიროვნებას ყველა უფლებები ქონდა. მინდა ავღნიშნო, რომ შალიკაშვილს არც შევარდნაძის მხარდაჭერა აკლდა და ასე სამივე მშვენივრად შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ. იგივე ეპითეტებს თავის დროზე სააკაშვილის მიმართებაში არ იშურებდა დავით შალიკაშვილი და მისი წინსვლა სრულებითაც არ ახარებდა. ვარდების რევოლუციის მეორე დღესვე იგი საქართველოდან გაიქცა ნამუსი ეყო აქ არ გაჩერებულიყო. აი თემურ შაშიაშვილი კი გაჩერდა და გადაწყვიტა ახალ, „თეთრების" ქურქში გამოწყობილმა ლიდერმა გვმოძღვროს სხვადასხვა ფილოსოფიური თუ არა ფილოსოფიური მოსაზრებებით.

პირველი რაც შალიკაშვილმა გააკეთა და ეს ცნობილი ფაქტია, „ფეროს" ქარხნის დამზადებული პროდუქცია რომელიც ნაშთად იდო ქარხანაში გაყიდა და ამ გაყიდვიდან შემოსულ თანხას ინვესტიცია დაარქვა, ნაცარი შეაყარა მთავრობას, იმათაც თვალები დახუჭეს, როგორც შევარდნაძემ, ასევე შაშიაშვილმაც.

არავინ არ დაიჯერებს იმ ფაქტსაც თითქოს შაშიაშვილმა არ იცოდა თუ როგორ გაქრო 39 კილოგრამი სუფთა პლატინა შალიკაშვილმა ქარხნიდან, რომელიც განკუთვნილი იყო ბაზალტის ძაფის გამოსაშვებად და წარმოადგენდა პლატინის სუფთა შენადნობს „ფილერების" სახით. პლატინის უქონლობის გამო ზესტაფონის ფეროში დღესაც დაკეტილია აწყობილი საამქრო, სადაც ზემოთ ხსენებული პროდუქცია უნდა გამოშვებულიყო. მე ბევრი ვიბრძოლე როგორც მაშინდელმა ზესტაფონის „ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს სახელმწიფო წარმომადგენელმა, რომ გადამერჩინა პლატინა გაყიდვისაგან, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე, პლატინის უქონლობის გამო ზესტაფონის ფეროში დღესაც დაკეტილია ბაზალტის ძაფის გამოსაშვები აწყობილი საამქრო, სადაც ზემოთ ხსენებული პროდუქცია უნდა გამოშვებულიყო. პლატინა როგორც ბოლოს გავარკვიე შალიკაშვილმა უბრალოდ კაპიკებში გაყიდა, არავის არაფერი არ შეუთანხმა და ფული ჩაიჯიბა, მომკითხველიც არავინ გამოჩნდა. შაშიაშვილმა იცოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ხელი არ შეუშლია შალიკაშვილის ამ თავნება საქციელისათვის.

სწორედ ამიტომ და ბევრი კიდევ სხვა უმსგავსოებების გამო მე მუშათა კოლექტივის მხარდაჭერით გავუგზავნე წერილი მიხეილ სააკაშვილს, რომელიც მაშინ უკვე იუსტიციის მინისტრი იყო და საკმაოდ ბევრი მტერი ყავდა გარშემო. იგი იმ პერიოდში ერთადერთი ადამიანი იყო პრაქტიკულად ვისაც ჩვენი დაცვა შეეძლო.

წერილში ავღწერდით რეალურ მდგომარეობას რაც „ფეროში" ხდებოდა და ვითხოვდით სიმართლის დადგენას. ამ ფაქტმა როგორც შაშიაშვილი, ასევე შალიკაშვილი ძალიან ალაშფოთა და გაალიზიანა, უფრო მეტიც, პირადად მე შაშიაშვილმა კრებაზე სააკაშვილის აგენტად მომნათლა.

მინდა ავღნიშნო, რომ მიხეილ სააკაშვილმა, მიხეილ მაჭავარიანმა, პეტრე ცისკარიშვილმა, ვანო მერაბიშვილმა და გიორგი ბარამიძემ შეუძლებელი შეძლეს იმდროინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე და პარლამენტში სპეციალური განხილვა მოაწყვეს ზესტაფონის „ფეროს" მიმართებაში, ეს იყო უპრეცენდენტო დაუჯერებელი ამბავი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მაშინ მათი ნება, რომ შევარდნაძე ველარ შეეწინააღმდეგა და მაშინ გაიჟღერა ტრიბუნიდან პირველმა სიმართლემ თუ რა ხდებოდა რეალურად „ფეროში".

მთავარ მომხსენებლად ვანო მერაბიშვილი და გიორგი ბარამიძე იყო და მინდა კიდევ ალვნიშნო, ეს იყო პირველი რეალური გაბრძოლება შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ რაც მერე როგორც დასრულდა ყველამ კარგად ვიცით. ვანო მერაბიშვილი იმ პერიოდში პარლამენტში ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ისიც ძალას იკრებდა, როგორც მიხეილ სააკაშვილი.

ეს იყო შაშიაშვილისთვის თავზარდამცემი სხდომა, რომელსაც იგი შეჩვეული არ იყო, როდესაც დავით შალიკაშვილს არ გაუვიდა თავისი ოინები ფეროში და მას კოლექტივმა უნდობლობა გამოუცხადა დამცველად ისევ შაშიაშვილი, გუბერნატორი ჩამოიყვანა და ეგონა ამითი დაარეგულირებდა მდგომარეობას. პირადად მე და მთელი ფეროს კოლექტივი შევეწინააღმდეგეთ, ეს ყველაფერი გადაღებულია მაშინდელი ტელეკომპანია „რიონის" მიერ და შეძრწუნებული შაშიაშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა კრება. მე გამაფრთხილეს, რომ ამას სერიოზული ამბები მოყვებოდა და მოყვა კიდეც, იმ დროს თემურ შაშიაშვილისგან პრაქტიკულად ხელდასმული პიროვნება ვინმე ალეკო ცერცვაძე აწიოკებდა იმერეთის რეგიონს როგორც ზესტაფონს, ასევე ჭიათურას, რომელიც დაუნდობლობით გამოირჩეოდა, იყო სამხედრო ფორმირების წევრი. სწორედ ამ პიროვნებამ დღისით, მზისით რამოდენიმე დღის მერე, ზემოთხსენებული კრების შემდგომ, მესროლა სამჯერ ზესტაფონის ცენტრში ყველას დასანახად და არათუ პასუხი მოთხოვეს მას, პირიქით ყველანაირად მიჩქმალეს ეს საქმე, ხოლო მე გამათავისუფლეს სამეთვალყურეო საბჭოდან, როგორც გავიგე შაშიაშვილის დაჟინებითი მოთხოვნით და მისი ცინიკოსი მეგობრის დავით შალიკაშვილის ხელშეწყობით.

ყველაფერი ამის მერე თემურ შაშიაშვილს თავი უნდა წარმოაჩინოს ფრთიან ანგელოზად, გვეთამაშოს „დემოკრატია" და გვასწავლოს ჭკუა.



პირადად მე, არჩილ გორდულაძე, ვეუბნები მას, მე არ ვარ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი, მაგრამ კარგად ვხედავ ვინ რას აკეთებს, ამიტომ თქვენ თვითონ ხართ ცრუპენტელა, დემაგოგი და მუხანათი ადამიანი, თქვენ გამძიმებთ ძველი ცოდვები და ნუ აიკიდებთ ახალს, ეს იქნება ჩემი რჩევა თქვენთვის ბატონო შევარდნაძის გუბერნატორო.

მინდა ასევე უთხრა თქვენნაირებს, ბატონო თემურ, რომ გაანებეთ თავი ჩვენი ახალგაზრდა მინისტრების გაქილიკებას. ყველა ხედავს თუ როგორ ცდილობენ ისინი ქვეყანა დაამსგავსონ სახელმწიფოს. რომ აღარ ვილაპარაკო შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ შედეგიან რეფორმებზე, პრაქტიკულად ვხედავთ თუ როგორ იქმნება ჩვენი თვალის წინ სამხედრო დანიშნულების ახალი ეროვნული პროდუქცია და მე ვამაყობ როგორც ერთ-ერთი ჩვეულებრივი უპარტიო მოქალაქე.

არჩევნები ახლოვდება და როგორმე ქართველი ხალხი გაარჩევს თუ ვინ არის რეალურად მშენებელი და ვინ დამანგრეველი და არა მგონია, რომ თქვენ და თქვენნაირები მშენებელთა რიგში მოიაზროს ვინმემ.

P.S. ზემოთ რაც ვთქვი აბსოლუტური სიმართლეა და მე მზად ვარ თუ შაშიაშვილი გააპროტესტებს ყველაფერ ამას, სადაც უნდა იქ შევხვდე, თუნდაც პირდაპირ ღია ტელედებატებში სადაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცებ მას მისი არგუმენტების უსუსურობას და დავამტკიცებ მის კორუმპირებულობას.

არჩილ გორდულაძე

# „ქვეყნის გაძლიერების გარეშე კონფლიქტების მოგვარება შეუძლებელია“

გერა მამულაშვილი

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებით, „კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონკრეტული გეგმა გააჩნია: „ჩვენ ვიცით, როგორ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებების პროცესი აფხაზებთან, როგორ უნდა გავაჩინოთ ნდობა ამ პროცესში, როგორ უნდა ჩავრთოთ ევროკავშირი, სწორედ ეს არის ჩვენი კოალიციის პრიორიტეტი. რაც შეეხება ჩვენი პარტნიორი პარტიის საგარეო პრიორიტეტებს, ეს არის საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში და ევროკავშირში გაწევრიანება, ჩვენ დასავლური ღირებულებების პარტიების კოალიცია ვართ და დღეს საპროგრამო გამოსვლაში ეს კოალიციის ლიდერმა აღნიშნა კიდეც“.

გარდა ამისა, ალასანიამ კოალიციის პრიორიტეტებს ხაზი კიდევ ერთხელ გაუსვა:

„ჩვენ ყველა მოქალაქე გვეყოლება დაზღვეული, ფეხზე დავაყენებთ გლეხს, მათ მიწის დამუშავებისა და მოყვანილი სიკეთის ბაზრამდე მიტანის საშუალებას გავუჩენთ, ეს ყველაფერი ივანიშვილის საპროგრამო გამოსვლაში აღნიშნული იყო და ეს მხოლოდ ნაწილია. ამ ყველაფრის ფინანსური რესურსები არის, თუკი ჩვენი ბიუჯეტი გამჭვირვალე იქნება, სააკაშვილის ბიუჯეტისგან განსხვავებით, რომელიც ყველაზე გაუმჭვირვალეა“.

ამასთან, ალასანიას „წარმოდგენა არ აქვს, ვინ იქნება პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სიის პირველი ნომერი, ვინაიდან ეს უშუალოდ ამ პარტიის გადასაწყვეტია“.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებზე „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრ, ექსპერტ **ირაკლი სესიაშვილს** ვესაუბრებით:

*– რას მოიცავს „ქართული ოცნების“ კონკრეტული გეგმა ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხში?*

– აქ არ შეიძლება მხოლოდ ერთი კონკრეტული გეგმა არსებობდეს. საუბარია კომპლექსურ მიდგომაზე, რომელიც არა მხოლოდ კონფლიქტის


ირაკლი სესიაშვილი

მოგვარებაზე მუშაობის გეგმას და სტრატეგიას მოიცავს. ამაში თავისთავად სახელმწიფოს განვითარების საკითხებია ჩადებული. კონფლიქტის მოგვარება ჩვენი ჩამოყალიბების, განვითარების და გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. ამდენად, ეს კომპლექსური გეგმა, პირველ რიგში ქვეყნის როგორც ეკონომიკურად, ისე დემოკრატიული თვალსაზრისით გაძლიერებას გულისხმობს. მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოება იქნება მიმზიდველი ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის. თავის მხრივ, დასავლეთი აქტიურად ჩართული იქნება კონფლიქტის მოგვარებაში. ამასთანავე, ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ დე-ფაქტო ხელისუფლებებთანაც.

*– ამ დე-ფაქტო ხელისუფლებებთან, იგივე მარიონეტებთან სათანამშრომლოდ რა შესაძლებლობების ფანჯარა არსებობს?*

– დაინტერესებულნი ვართ აფხაზებსაც და ოსებსაც ავუხსნათ, რომ ჩვენი სურვილია არა უბრალოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ ამ ხალხის, ჩვენივე თანამოქალაქეების დაბრუნება. ეს ადამიანები პირველ რიგში უნდა დავარწმუნოთ, რომ ე.წ. დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს არანაირი პერსპექტივა არ აქვს. განსაკუთრებით იმ ვითარებაში, რაშიც დღესდღეობით იმყოფებიან.

ასევე უნდა დავარწმუნოთ, რომ თანაცხოვრებით დავიცავთ უმცირესობების ინტერესებს, სრული თანაბარუფლებიანობის პირობებში. მეორე მხრივ კი, თანაცხოვრებით ჩვენ ყველანი ძლიერი სახელმწიფოს აშენებას შევძლებთ, რაც თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ამ კონფლიქტის მოგვარება ადვილი არ არის. სამწუხაროდ, ბევრი დრო გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მეტი უარყოფითი მოვლენები იყო. ამიტომ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა ვიმუშაოთ, რომ დადებითი, პოზიტიური მოვლენები და პროცესები რაც შეიძლება გაიზარდოს. ამისთვის საჭიროა დიალოგი და მშვიდობიანი გზების გამოძებნა; ჩვენი თანამოქალაქეების დარწმუნება; როგორც დასავლეთის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა, ასევე რუსეთთან დიალოგი და საერთო ენის გამონახვა.

ვიცით, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. ასევე კარგად გვესმის, რომ დეოკუპაცია მარტივი საქმე არ არის. მაგრამ არსებული გეოპოლიტიკური მოცემულობა გვაძლევს შანსს და პერსპექტივას, რომ სწორი პოლიტიკის წარმართვის პირობებში, შესაძლებელია ჩვენი მიზნების მიღწევა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

*– პირველ რიგში, რაზე მიანიშნებთ, როცა „გეოპოლიტიკურ მოცემულობაზე“ საუბრობთ?*

– ყველაფრის დაკონკრეტება ალბათ სასურველი არ იქნება. ფაქტი ერთია, რომ რუსეთს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში თავისი ინტერესები აქვს. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია, რადგან მეზობელი ქვეყანაა. მაგრამ ჩვენ კონკრეტული სახელმწიფო ინტერესები გვაქვს, რომლებიც რაიმე სახის დისკუსიას არ ექვემდებარებიან. იგი ვერ იქნება შეზღუდული ან შევიწროებული სხვა, თუნდაც მეგასახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

თუმცა, გარკვეული ინტერესების კვეთა ყოველთვის ხდება. იგივე ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად; ასევე მოსკოვსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით. ამას გარდა, ადრე თუ გვიან რუსეთის დასავლეთთან დაახლოების პროცესი დაჩქარდება. ეს შეუქცევადი პროცესია და რუსეთს უნდა თუ არა, დასავლეთთან ურთიერთობა სჭირდება. მოსკოვს დიდად სურს მსოფლიო საკითხებში თავისი ჩართულობა გაზარდოს. ამით დასავლეთთან უნდა ითანამშრომლოს და მეორე მხრივ, ცხადია გარკვეულ სარგებელსაც ნახავს. ვფიქრობთ, ამ პროცესში მეტი შანსია, რომ ჩვენი სწორი როლი და ადგილის მოვძებნოთ.

# უმწეობის სტატუსის მინიჭება პოლიტიკური ნიშნით ხდება

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელის, ლევან კალანდაძის მტკიცებით, გურიის სოფლებში უმწეოთა სტატუსის მინიჭება დღემდე პოლიტიკური ნიშნით ხდება.

კალანდაძის ინფორმაციით, ის უშუალოდ იმყოფებოდა გურიის რამდენიმე სოფელში და ამის შესახებ ინფორმაცია პირადად სოფლის მოსახლეობისგან მიიღო.

„მემარჯვენეების“ ინფორმაციით, კალანდაძე გუშინ ოზურგეთის სოფლებში – ლაითურში, ნარუჯასა და ლიხაურში მოსახლეობას შეხვდა და მათ სოფლის განვითარების პროგრამა და პარტიის ძირითადი პრიორიტეტები გააცნო. ლევან კალანდაძის განცხადებით, სოფლების მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმას გამო, რომ სოციალური აგენტების მიერ უმწეოთა სტატუსის მინიჭება და შესაბამისად, სოციალური დახმარებების დანიშვნა და სამედიცინო პოლისების დარიგება გაუმჭვირვალედ მიმდინარეობს და ხშირ შემთხვევაში სუბიექტური შეხედულებების შესაბამისად ხდება.

– ხელისუფლების მხრიდან სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის უმწეოთა სტატუსის მინიჭება ვაჭრობის ობიექტია. ადამიანების შერჩევა, არც თუ იშვიათად, პოლიტიკური ნიშნით ხდება. მაშინ, როცა ადამიანებს უმწეოთა სტატუსს ძველი საბჭოური ტელევიზორის და მაცივრის ფლობის გამო ან არ აძლევენ ან უწყვეტენ, სოფლებში მრავლად მოიძებნება ადამიანები, რომლებსაც დახმარება რეალურად არ სჭირდებათ, თუმცა, ისინი ამ სტატუსს, შესაბამისად, მატერიალურ დახმარებას და სამედიცინო პოლისს მხოლოდ იმიტომ ფლობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები ან აქტივისტები არიან, – აცხადებს კალანდაძე.


ლევან კალანდაძე

„ახალი მემარჯვენეები“ მოუწოდებენ ჯანდაცვის სამინისტროს, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, გაასაჯაროოს თითოეული სოფლის მიხედვით უმწეოთა სტატუსის მფლობელთა სიები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ სფეროში არსებული გაუგებრობები და უხერხულობები.

# დაბრუნდება თუ არა ქართული პროდუქცია რუსეთში?

დასაწყისი მე-7 გვერდზე

აქტუალურია, რადგან, როგორც ექსპერტები ამბობენ, რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის ჯერ კიდევ შეუცვლელია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას არ აქვს უფლება, სხვა ქვეყნის იმპორტი აკრძალოს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა გოროზიას განცხადებით, რუსეთის ბაზარი თავად რუსებმა ჩაკეტეს და შესაბამისად, მათ უნდა გახსნან, საქართველოს მთავრობის მხრიდან კი არც ერთ ბაზარზე შესასვლელად არანაირი დაბრკოლება არ არსებობს.

ზაზა გოროზიას განცხადებით „ზედაზენის“ ლიმონათის რუსულ ბაზარზე შესვლაში ახალი არაფერია, რადგან რამდენიმე ხნის წინ „ნატახტარი“ შევიდა.

– უკვე მერამდენედ ვამბობ იმას, რომ საქართველოს პროდუქცია თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში შედის. მას არანაირი წუნი არ გააჩნია და თუ რუსეთს არ უნდა, რომ ასეთი კარგი პროდუქცია ჰქონდეს თავის ბაზარზე, ეს მათი პრობლემაა. ჩვენ მოხარული ვიქნებით, რომ ქართული პროდუქცია მსოფლიოს ყველა ბაზარზე შევიდეს. თუ ვინმე მას ტექნიკურად ბლოკავს, ეს მათი პრობლემაა. ასე რომ, რუსეთის ბაზარი მათი ჩაკეტილია და მათვე უნდა გახსნან. ჩვენგან არც ერთ ბაზარზე შესასვლელად არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, – განუცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ.

რაც შეეხება კითხვაზე პასუხს, – რამდენად მიზანშეწონილია რუსეთის მთავარი სანიტარის, გენადი ონიშენკოს კომპანია „სარაჯიშვილის“ მიმართ წაყენებული მთავარი პირობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ონიშენკოს ნდობით აღჭურვილი ლაბორატორიის მიერ ბრენდის შემოწმებას გულისხმობს, მინისტრმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

– ბრენდი სარაჯიშვილი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დამილევია და ის მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს. – ამბობს გოროზია.

კვირის დასაწყისში საგარეო საქმეთა სამინისტროშიც გაკეთდა განცხადება რუსეთში ქართული პროდუქციის გამოჩენასთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის განცხადებით კი რუსები მიხვდნენ, რომ ემბარგოთი ვერაფერი დაგვაკლეს და ამიტომ დააბრუნეს ქართული პროდუქცია რუსეთში.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავლისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

**განცხადებები**

- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟაფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატალონიელებმა „ჩელსის" ჯადო ვერ ახსნეს

**ბარსელონა-ჩელსი 2:2**

*1:0 ბუსკეტსი (35), 2:0 ინიესტა (43), 2:1 რამირესი (45), 2:2 ტორესი (90)*

**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი, პიკე (ალვესი 26), მასკერანო, კუენკა (ტელიო 67), ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა, ფაბრეგასი (კეიტა 74), მესი, სანჩესი.

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, კეჰილი (ბოსინგვა 12), ტერი, კოული, მიკელი, მეირელეში, მატა (კალუ 58), ლემპარდი, რამირესი, დროგბა (ტორესი 80).

**გაძევება:** ტერი 37

მატჩის 43-ე წუთზე ვერავინ იფიქრებდა, რომ „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის ფინალის გარეშე დარჩებოდა. კატალონიელები ამ დროს 2:0-ს იგებდნენ და „ჩელსი" მოედანზე 10 კაცით იყო დარჩენილი. თითქოს ყველაფერი იოლად მოჩანდა, მაგრამ...

მართალია, ლონდონელებმა პირველივე წამებზე მწვავედ შეუტიეს, მაგრამ „ნოუ კამპზე" მატჩი მოსალოდნელი სცენარით დაიწყო – „ბარსას" მოგება სჭირდებოდა და დიდი ძალებით უტევდა, ხოლო „ჩელსი" საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს იყო გამაგრებული და წინ დიდიე დროგბა ეულად ჰყავდათ მიტოვებული.

„ბარსელონამ" პირველი სახიფათო მომენტი უკვე მე-3 წუთზე შექმნა – სანჩესის პასის შემდეგ საჯარიმოში შესული მესი სახიფათოდ, თუმცა მცირედით არაზუსტად ურტყამდა. მე-19 წუთზე, მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს, კატალონიელებმა ჩვეული კომბინაცია გაითამაშეს – მესიმ საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფ ფაბრეგასი მოძებნა, რომელმაც ქუსლით დიდოსტატური პასი დაუბრუნა არგენტინელს. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მსოფლიოს სამგზის საუკეთესო ფეხბურტელს ჩეხმა აჯობა. მესის მომენტიდან ორ წუთში, შორეული დარტყმით გატანა მასკერანომ სცადა, მაგრამ არგენტინელს მიზანმა მცირედით უმტყუნა.

„ბარსამ" ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა – დანი ალვეშმა ბურთი მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილ კუენკას გააყოლა, რომელმაც საჯარიმოში განივი პასი გააკეთა, სადაც უმეთვალყუროდ დარჩენილმა სერხიო ბუსკეტსმა ბურთი ცარიელ კარში გაიტანა.

ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა. თანაც მატჩს ისეთი პირი უჩანდა, რომ ანი გოლს კატალონიელები თუ გაიტანდნენ – „ჩელსის" აშკარად უჭირდა მეტოქის ნახევარზე გადასვლა და გოლის გატანაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. 37-ე წუთზე, კატალონიელთა გულშემატკივრებმა ალბათ შვებით ამოისუნთქეს. ლონდონელთა კაპიტანი ჯონ ტერი უბურთო სანჩესთან მივიდა და მას ზურგში მუხლი ჩაარტყა, რის გამოც, სავსებით სამართლიანად მიიღო წითელი ბარათი. ასეთი დონის ფეხბურთელს, ამგვარი საქციელი არ ეპატიება.

რიცხობრივი უპირატესობა „ბარსამ" მალევე გამოიყენა. 43-ე წუთზე, ბუსკეტსმა მეტოქეს ბურთი მოედნის ცენტრში აართვა, რასაც მასპინძელთა კონტრშეტევა მოჰყვა. საჯარიმოს მისადგომებთან ბურთით მყოფმა მესიმ ინიესტას კარგი პასი გაუკეთა და ჩეხთან პირისპირ გასულ ჰავბეკს გატანა არ გასჭირვებია – 2:0.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პეპ გვარდიოლას გუნდი უკვე ფინალშია და მეტოქეს ელოდება, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ლონდონელები. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, ლემპარდის ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ, დასარტყმელ პოზიციაზე რამირესი გავიდა, რომელმაც წინ გამოსულ ვალდესს ბურთი თავზე გადაუგდო და ის შედეგი დააფიქსირა, რომელსაც ფინალში „ჩელსი" გაჰყავდა, თუმცა წინ მთელი მეორე ტაიმი იყო და ჯერ კიდევ „ბარსა" ფავორიტობდა.

მე-2 ტაიმში დი მატეომ წინ მყოფი დროგბაც კი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაწია და კონტრშეტევებზე უარი თქვა. ცხადია, შემტევს დაცვაში გაუჭირდა და უკვე 48-ე წუთზე, საკუთარ საჯარიმოში ფაბრეგასი წააქცია. პენალტის შესრულება ლიონელ მესიმ ითავა და ბურთი „ჩელსის" კარის ხარიხას მოარტყა. არადა, ეს ბურთი რომ გასულიყო, სავარაუდოდ, „ჩელსის" ვერაფერი უშველიდა.

„ბარსამ" მორიგი სახიფათო მომენტი 56-ე წუთზე შექმნა, როდესაც ალვესის ჩაწოდების შემდეგ, თავით სანჩესი ურტყამდა. დაახლოებით ოც წუთში, ბუსკეტსს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ძალიან არაზუსტად დაარტყა. 83-ე წუთზე, მესის სა-




კუთარი შეცდომის გამოსწორების შანსი მიეცა, მაგრამ საჯარიმოს გარედან არგენტინელის დარტყმის შემდეგ, ჯერ ჩეხმა ითამაშა კარგად, ხოლო შემდეგ, ბურთი ძელს მოხვდა.

ორმატჩიანი ჯახის ბედი პირველ დამატებულ წუთზე გადაწყდა. კატალონიელთა ერთ-ერთი შეტევისას ბურთის გამოტანა ტორესმა ინდივიდუალურად სცადა, მაგრამ აართვეს, თუმცა ესპანელი უბურთოდ წავიდა წინ და მოულოდნელად სხვა მცველების ამოტანილი ბურთი ისე მოიგდო ფეხთ, რომ ვალდესთან პირისპირ აღმოჩნდა – ტორესმა მეკარე იოლად მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგროა.

„ჩელსიმ" თითქმის შეუძლებელი შესძლო და ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებულის გავლით, ფინალში გააღწია. სხვათა შორის, „ჩელსი" ერთადერთი გუნდია, რომელთანაც კატალონიელებს ჩემპიონთა ლიგაზე უარყოფითი ბალანსი აქვთ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – პეტერ ჩეხი**

ისევე როგორც ორი კვირის წინ, ამჯერადაც საუკეთესოდ ლონდონელთა მეკარე უნდა დავასახელოთ. მართალია, ამჯერად ჩეხმა ორი ბურთი გაუშვა, მაგრამ სამუშაოც გაცილებით მეტი ჰქონდა. „ბარსა" გამუდმებით უტევდა და ათამდე სახიფათო მომენტი შექმნა ჩეხის კართან. სწორედ ლონდონელთა მეკარის დამსახურებაა, რომ კაკალონიელებმა სასურველი გამარჯვება ვერ მოიპოვეს.

## მატჩის შემდეგ:

**რობერტო დი მატეო, ჩელსის მწვრთნელი:**

– ამ გუნდისთვის უდიდესი მიღწევაა. ბევრმა ნაადრევად ჩამოგვწერა, მაგრამ ფეხბურთელებმა ხასიათი გამოავლინეს. ბუნებრივია, არ ველოდით, რომ მატჩის ნახევარზე მეტს ათი ფეხბურთელით ჩავატარებდით. ამიტომ, ყველაფერი უფრო ძნელად გამოვიდა, ვიდრე ვფიქრობდით. „ბარსელონა" საუცხოო გუნდია, რომლის შემადგენლობაში ფანტასტიკური ფეხბურთელები გამოდიან, მაგრამ ჩვენ საკუთარი ძალა ვაჩვენეთ. ეს სეზონი ძალიან რთული აღმოჩნდა, თუმცა ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ვაკეთებდით, როდესაც საჭირო იყო. რამირესის გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა. თამაშამდე ვსაუბრობდით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, გოლი რომ გაგვეტანა და გუნდმა ეს მოახერხა. რწმენა, საბოლოო გამარჯვებას რომ მივაღწევდით, ამის რწმენა არასოდეს დაგვიკარგავს. ტაქტიკური თვალსაზრისით, მეორე ტაიმის გარჩევას აზრი არ აქვს – ამ შემთხვევაში ყველაფერი ჟინმა, სიამაყემ და გამარჯვების სურვილმა გადაწყვიტა. ყველა ფინალში გასვლაზე ვოცნებობდით. რაც შეეხება ფინალს, მასზე მაშინ ვიფიქრებ, როდესაც ამის დრო მოვა. „ბარსელონა" პლანეტის საუკეთესო გუნდია. უბრალოდ, როგორც შეგვეძლო, თავს ისე ვიცავდით და გამარჯვებისკენ ვისწრაფვოდით. იღბალიც ჩვენს მხარეს იყო, ხოლო მის გარეშე ვერც ერთ ტიტულს ვერ მოიგებ.

**პეპ გვარდიოლა, ბარსელონას მწვრთნელი:**

– რა თქმა უნდა, მოთამაშეები განადგურებულები არიან. გადამწყვეტი რამირესის მიერ შესვენებამდე გატანილი გოლი აღმოჩნდა. ეს ფსიქოლოგიური დარტყმა იყო. ორივე მატჩში გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. პენალტის ჩათვლით, გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობა გვქონდა. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მეტოქის დაცვის ხაზის გადალახვა ძნელი იყო. „ჩელსიმ" უკანა ხაზი გააჯერა და ამიტომ შეტევა უფრო ფართო ფრონტით გვიხდებოდა, რაც ადვილი არ იყო. სწორედ ამით უნდა დავკავდეთ – ვიფიქროთ, როგორ „გავტეხოთ" მსგავსი დაცვა. ამ თამაშმა ორი წლის წინ მილანის „ინტერთან" ჩატარებული ნახევარფინალი გამახსენა. უბრალოდ, ახლა უფრო საწყენია, რადგან ახლა გამარჯვებისთვის მეტი ძალა დავხარჯეთ, ვიდრე მაშინ. უახლოეს დღეებში შევეცდებით, გავაანალიზოთ, რაში შევცდით. ცხადია, არსებობს რაღაც, რასაც ახლავე გამოვასწორებდი, მაგრამ ჩვენ ფინალში ვერ გავედით. არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, როგორც საკუთარ მოედანზე, ასევე, „სტემფორდ ბრიჯზე". როგორ შემიძლია, საყვედური ვუთხრა ფეხბურთელებს, რომლებმაც 180 წუთის განმავლობაში ამდენი მომენტი შექმნეს? უბრალოდ, ეს ჩვენი წელიწადი არაა. მადლობა უნდა გადავუხადოთ მესის ყველაფრისთვის, რაც კლუბს მისცა. მის მიმართ ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ აქვს. ის მაგალითია ნებისმიერისთვის, ვისაც საკუთარ თავზე მუშაობა და ოსტატობის დახვეწა უნდა. ვიცი მისი მებრძოლი ხასიათი და ეჭვი არ მეპარება, რომ ის ძალიან განიცდის. თუმცა, ფეხბურთის სილამაზე სწორედ ასეთ მატჩებშია. ვულოცავ „ჩელსის". გუნდმა დაცვაში საუცხოოდ ითამაშა და ქებას იმსახურებს როგორც თავდადებისთვის, ასევე ფსიქოლოგიური მდგრადობისთვის. ფინალში წარმატებას ვუსურვებთ. მომდევნო სეზონში „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგაში კვლავ იბრძოლებს. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად კარგ თამაშს ვაჩვენებდით. ზოგჯერ იმარჯვებ, ზოგჯერ – არა. სპორტის მომხიბლაობა სწორედ ესაა.

# სანდრო კობახიძე: უკრაინაში ქართველები ერთმანეთთან ვკონტაქტობთ

კიევის „არსენალის" ქართველმა ფეხბურთელმა ალექსანდრე კობახიძემ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში, ლვოვის „კარპატისთან" მატჩში (3:2), გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. ეს კობახიძისთვის უცხო ნამდვილად არ არის – ჩვენებური ბრწყინვალე სეზონს ატარებს და ხმაც დაირხა, მისი გადაბირებით კიევის „დინამოა" დაინტერესებულიო.

თუ რამდენად შეესაბამება ეს ხმები სიმართლეს, უახლოეს მომავალში გამოჩნდება, მანამდე უკრაინისა და იქვე გასამართი ევროპის ჩემპიონატია მოსალევი, რის გამოც ტრანსფერებისთვის არავის სცალია.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთან ინტერვიუ უკრაინის პრემიერლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა:

***– რა უშლიდა თქვენს გუნდს „კარპატისთან", თავიდანვე წარმატებით თამაშში?***

– მე არ ვიტყოდი, რომ თამაშის წარმართვასა თუ კოლექტიურ მოქმედებებში რაიმე არ გამოგვდიოდა. პრობლემა უფრო გაშვებულ გოლებში იყო. ფეხბურთში ხშირად ხდება, როცა ერთი უტევს, მაგრამ მეორეს გააქვს. თქმა არ უნდა, როცა გოლს გაგიტანენ, კონცენტრაციას კარგავ. ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ დამძიმდა, როდესაც მეორეც გავუშვით.

***– ალბათ, იმ დროს არაერთმა თქვენმა თანაგუნდელმა ხელიც ჩაიქნია.***

– რწმენის დაკარგვის უფლება არავის ჰქონდა. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ იყო. იმ საერთო მიზანს, რომლისთვისაც მთელი სეზონის განმავლობაში ვიბრძოდით, საფრთხე დაემუქრა და ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე „კარპატისთან" დაპირისპირება ერთგვარი გადამწყვეტიც იყო. უნდა ითქვას, რომ ცოტა გაგვიმართლა კიდეც. სულ მალე მაქსიმ შაცკიხმა ორჯერ გაიტანა, რის შემდეგაც ჩვენ გამარჯვების გოლის გატანის შესაძლებლობის ძებნა მიზანმიმართულად და მეთოდურად დავიწყეთ.

***– ბევრს საუბრობენ, რომ „კარპატი" ურიგოდ არ თამაშობს, მაგრამ წარუმატებლობა თან სდევსო.***

– კარგად აეწყო, თუმცა მისი გუნდის მდგომარეობა არ იძლევა არხეინად ყოფნის საშუალებას.

***– თქვენი გუნდის მომავალ თამაშებზე რას ფიქრობ?***




– ძალიან საწყენი იქნება, თუ პრემიერლიგა „კარპატის" დაკარგავს. ჩემი აზრით, ლვოველები ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე ყოფნას იმსახურებენ. ამჟამინდელი შედეგი, ალბათ, უიღბლობის ბრალიცაა. ჩვენ ხომ ამ გუნდის წარმატებული თამაში არა მხოლოდ შიდა, ევროპულ არენაზეც გვახსოვს.

***– მატჩის დასრულებისთანავე „კარპატიში" თქვენს თანამემამულე ფეხბურთელთან, ბუბა დაუშვილთან მიხვედით. თუ საიდუმლო არაა, რაზე საუბრობდით?***

– ბუბა ჩემი ძველი ნაცნობია. შეიძლება ითქვას, ჩვენ მეგობრები ვართ. უკრაინაში არცთუ ბევრი ქართველი ფეხბურთელია და ამიტომ ურთიერთობას ვინარჩუნებთ. მაშინ „კარპატიზე" ვსაუბრობდით, მის სატურნირო პერსპექტივებსა და შანსებზე. დაუშვილი უკრაინაში დიდი ხანი არაა, რაც ჩამოვიდა. მისი საქმეები თითქოს კარგად აეწყო, თუმცა მისი გუნდის მდგომარეობა არ იძლევა არხეინად ყოფნის საშუალებას.

– წინასწარ დასახული ამოცანის შესასრულებლად ვემზადებით – ევროთასებზე გასვლას ვცდილობთ, ვიბრძვით. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ორი გამარჯვების შემთხვევაში სატურნირო ცხრილის ზედა ხუთეულში ადგილს გავინაღდებთ. როდესაც სხვის შედეგზე არ ხარ დამოკიდებული, აქეთ-იქით აღარ იყურები და შენს საქმეს მშვიდად აკეთებ.

***– თქვენს მომდევნო მეტოქე „ვოლინს" ცოტა ხნის წინ უკვე ეთამაშეთ უკრაინის თასზე, სადაც ნახევარფინალის საგზურისთვის ბრძოლაში დამარცხდით.***

– იოლი თამაში არც მაშინ იყო და არც ახლა იქნება. თუმცა მგონია, რომ ახლა ყველაფერი სხვაგვარად წარიმართება. არ შეიძლება, ზედიზედ ორჯერ ფლობდე ინიციატივას და ორივეჯერ დამარცხდე. ალბათ, ყველამ ნახა, რომ სათასო მატჩში უდავო უპირატესობას ვფლობდით.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ბარსელონა-ჩელსი ........ 2:2

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ბოლტონი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 26 | 5 | 4 | 86:32 | 83 |
| 2.სიტი | 35 | 25 | 5 | 5 | 87:27 | 80 |
| 3.არსენალი | 35 | 20 | 5 | 10 | 67:43 | 65 |
| 4.ნიუკასლი | 34 | 18 | 8 | 8 | 53:42 | 62 |
| 5.ტოტენჰემი | 34 | 17 | 8 | 9 | 57:39 | 59 |
| 6.ჩელსი | 34 | 16 | 10 | 8 | 56:38 | 58 |
| 7.ევერტონი | 34 | 13 | 9 | 12 | 42:38 | 48 |
| 8.ლივერპული | 34 | 12 | 10 | 12 | 40:37 | 46 |
| 9.ფულემი | 34 | 12 | 10 | 12 | 45:44 | 46 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 13 | 6 | 16 | 41:47 | 45 |
| 11.სანდერლენდი | 35 | 11 | 11 | 13 | 42:41 | 44 |
| 12.სუონსი | 35 | 11 | 10 | 14 | 39:45 | 44 |
| 13.ნორვიჩი | 35 | 11 | 10 | 14 | 47:60 | 43 |
| 14.სტოკი | 34 | 11 | 9 | 14 | 32:48 | 42 |
| 15.ასტონ ვილა | 35 | 7 | 15 | 13 | 36:50 | 36 |
| 16.უიგანი | 35 | 8 | 10 | 17 | 34:60 | 34 |
| 17.ქპრ | 35 | 9 | 7 | 19 | 39:57 | 34 |
| 18.ბოლტონი | 34 | 10 | 3 | 21 | 39:67 | 33 |
| 19.ბლექბერნი | 35 | 8 | 7 | 20 | 47:73 | 31 |
| 20.ვულვზი | 35 | 5 | 8 | 22 | 34:75 | 23 |

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-კიევო ........ 1:0

კალიარი-კატანია ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 19 | 14 | 0 | 57:18 | 71 |
| 2.მილანი | 33 | 20 | 8 | 5 | 63:27 | 68 |
| 3.ლაციო | 33 | 16 | 7 | 10 | 49:41 | 55 |
| 4.უდინეზე | 33 | 14 | 10 | 9 | 44:32 | 52 |
| 5.ნაპოლი | 33 | 13 | 12 | 8 | 58:41 | 51 |
| 6.რომა | 33 | 15 | 5 | 13 | 52:46 | 50 |
| 7.ინტერი | 33 | 14 | 7 | 12 | 47:45 | 49 |
| 8.კატანია | 34 | 11 | 13 | 10 | 44:46 | 46 |
| 9.ატალანტა | 34 | 12 | 13 | 9 | 38:36 | 43 |
| 10.კიევო | 34 | 11 | 10 | 13 | 30:41 | 43 |
| 11.სიენა | 33 | 11 | 9 | 13 | 41:35 | 42 |
| 12.პალერმო | 33 | 11 | 8 | 14 | 46:51 | 41 |
| 13.ბოლონია | 33 | 10 | 11 | 12 | 34:39 | 41 |
| 14.კალიარი | 34 | 10 | 11 | 13 | 36:42 | 41 |
| 15.პარმა | 33 | 10 | 11 | 12 | 43:50 | 41 |
| 16.ფიორენტინა | 33 | 9 | 11 | 13 | 32:38 | 38 |
| 17.ჯენოა | 33 | 9 | 9 | 15 | 44:62 | 36 |
| 18.ლეჩე | 33 | 8 | 11 | 14 | 38:49 | 35 |
| 19.ნოვარა | 33 | 5 | 10 | 18 | 27:56 | 25 |
| 20.ჩეზენა | 33 | 4 | 10 | 19 | 21:50 | 22 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ლივორნო-ჩიტადელა ........ 1:2

**პოლონეთი. თასი**

**ფინალი**

რუხი-ლეგია ........ 0:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ტავრია-მეტალურგი(დ) ........ 1:1

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ატლანტა-კლიპერსი ........ 109:102

ბოსტონი-მაიამი ........ 78:66

ოკლაჰომა-საკრამენტო ........ 118:110

გოლდენ სტეიტი-ნიუ ორლეანი .. 81:83

იუტა-ფინიქსი ........ 100:88

## ჩოგბურთი

**ვტა. ფესი. თიხა**

კუზნეცოვა-დანილიდუ ........ 6:1;7;5

ცეტკოვსკა-ცინკი ........ 6:4;6:2

პოუს ტიო-გოვორცოვა ........ 6:2;6:1

იოჰანსონი-ლალამი ........ 6:1;6:1

ბაჩინსკი-როდიონოვა არ. 2:6;6:0;6:0

პირი-რიბარიკოვა ........ 5:7;6:3;7:5

**ვტა. შტუტგარტი. თიხა**

კორნე-ჩეკვეტაძე ........ 6:3;6:4

ბონდარენკო!კ.-არნი ........ 5:7;3:6

კერბერი-ვინჩი ........ 6:2;6:3

სკიავონე-ნიკულესკუ ........ 6:3;7:5

გერგესი-პავლუჩენკოვა .. 5:7;6;3;6:4

პეტკოვიჩი-ბარუა ........ 6:1;6;4

ლი-შაფარჟოვა ........ 7:6;6:4

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ნიუ ჯერსი-ფლორიდა ........ 3:2(ოტ)

სერიის ანგარიში ........ 3:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაჩულიას კოლიეს თასი გადასცეს



როგორც ჩანს, ზაზა ფაჩულია რეგულარულ სეზონში აღარ ითამაშებს. ისე კი, მის დასრულებამდე ბევრიც არაფერი – მხოლოდ ერთი მატჩი დარჩა. „ატლანტას" მწვრთნელი ლარი დრიუ კი ამბობს, რომ ფაჩულია „დღე-დღეზე" დაბრუნდება, თუმცა ქართველ ცენტრს აგერ უკვე მეექვსე მატჩია, აღარ უთამაშია.

გუშინ, დილით, ატლანტელებმა დასავლეთის ერთ-ერთი მძლავრი გუნდი – „კლიპერსი" 109:102 დაამარცხა. ამ გამარჯვებით „ატლანტამ" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილი გაინაღდა, თუმცა ეს არც ისე კარგია, რადგან ფაჩულიას გუნდი პლეი ოფში „ბოსტონს" ხვდება და მოედნის უპირატესობა მეტოქეს აქვს.

მატჩის დაწყებამდე ზაზა ფაჩულიას ჯეისონ კოლიეს სახელობის მემორიალური თასი გადასცეს, რომელიც 2006 წლის შემდეგ ყოველ სეზონში თამაშდება. ზაზა საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი ღვაწლის გამო დააჯილდოვეს.

ჯეისონ კოლიე ატლანტელთა ცენტრალური თავდამსხმელი იყო და 2006 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. ფაჩულიას დაჯილდოების ცერემონიალს კოლიეს მეუღლე, ქალიშვილი და მშობლები დაესწრნენ.

# მოჭიდავეებსა და მოკრივეს ოლიმპიური ლიცენზიები სეოკ-ში მიულოცეს

როგორც უკვე ვწერდით, ამ დღეებში „ლონდონი-2012"-ის ლიცენზიანტთა რაოდენობა კიდევ ოთხი სპორტსმენით გაიზარდა. ტრაპზონსა და სოფიაში დასრულებულ სალიცენზიო ტურნირებზე კრივსა და ჭიდაობის სახეობებში შესაბამისად მერაბ თურქაძემ (კრივი), გიორგი გოგშელიძემ (თავისუფალი ჭიდაობა), ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა) და ზურაბ დათუნაშვილმა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) იყოჩაღეს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი უძღვებოდა. მან მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს თავდადებისთვის და სინანულით აღნიშნა, რომ კრივში იყო კარგი შანსი მეტი საგზური მოეპოვებინათ.

**გია ნაცვლიშვილი:**

– მიუხედავად იმისა, რომ კრივში ყველაფერი გაკეთდა მეტი ლიცენზიის მოსაპოვებლად და ამის კარგი შესაძლებლობაც არსებობდა სამწუხაროდ, მხოლოდ ერთს დასჯერდნენ. რა გაეწყობა სპორტში ყველაფერი ხდება, უშუალოდ მერაბ თურქაძეს კი მინდა ეს წარმატება მივულოცო. რაც შეეხებათ მოჭიდავეებს მათ ისედაც განებივრებული ვყავართ და იმედები არც ამჯერად გაგვიცრუეს. ბულგარეთში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ორი, ხოლო კლასიკოსებმა ერთი საგზური გაინაღდეს და დარწმუნებული ვარ ამით არ შემოიფარგლებიან, რადგან წინ კიდევ ჩინეთისა და ფინეთის სალიცენზიო ტურნირებია.

**კახა გეწაძე, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ჭიდაობაში გულშემატკივარი მუდამ მაქსიმუმს ითხოვს და თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ. ამაღამ ჩინეთის სალიცენზიო შეჯიბრზე მივემგზავრებით და ლიცენზიათა მონაგარი აუცილებლად უნდა გავზარდოთ. დასკვნითი ტურნირი კი ჰელსინკში გაიმართება.

პრესკონფერენციის დასასრულს მერაბ თურქაძემ, ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, გიორგი გოგშელიძემ და ზურაბ დათუნაშვილმა ტრადიციისამებრ „ლონდონი 2012"-ის ლიცენზიანტთა დაფაზე საკუთარი ხელმოწერა დააფიქსირეს.

შეგახსენებთ, რომ საერთო ჯამში ქართველ ათლეტთა ანგარიშზე ამ ეტაპზე ოფიციალურად 15 ოლიმპიური საგზურია და სავარაუდოდ ეს რიცხვი მინიმუმ ორჯერ გაიზრდება.

მ. ჟ.

# შავი ზღვის ჯაზფესტივალი მეექვსედ ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

**ბათუმში უკვე მეექვსედ ჩატარდება შავი ზღვის ჯაზფესტივალი, რომელიც ტრადიციას არც წელს დაარღვევს და მსოფლიოში საუკეთესო მომღერლებსა და მუსიკოსებს მოიწვევს აჭარის შავიზღვისპირეთში. მიუხედავად იმისა, რომ ჯაზფესტივალი ივლისის თვეშია დაგეგმილი, მისი პროგრამა უკვე სრულად გაწერილია. სწორედ ჯაზფესტივალის პროგრამასა და მის სტუმრებზე სასაუბროდ მიიწვიეს ჟურნალისტები კომპანია „ისთერნ პრომოუშენის" წარმომადგენლებმა თბილისის „ივენთ ჰოლში" და კულტურის მინისტრთან ერთად ფესტივალის სიახლეებზე დეტალურად ისაუბრეს.**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, თიბისი სტატუსის დირექტორმა მადონა წულაიამ, კომპანია „ისთერნ პრომოუშენის" დირექტორმა მიხეილ გიორგაძემ და მუსიკოსმა ფრედ ვესლიმ შეკრებილ საზოგადოებას სიახლეები გააცნეს.

პრესკონფერენციის საპატიო სტუმარმა ფრედ ვესლიმ, მასმედიასთან შეხვედრის დასასრულს ერთი კომპოზიცია ბენდთან ერთად სპეციალურად ჟურნალისტებისთვის შეასრულა.

როგორც „ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელმა მიშა გიორგაძემ განმარტა, ფრედ ვესლი საქართველოში ჯაზ სერიების ფარგლებში კონცერტის ჩასატარებლად ჩამოვიდა. მან თბილისის ივენთ ჰოლში საგანგებო კონცერტი ჩაატარა. ივლისში კი მუსიკოსი უკვე მსმენელს ბათუმში შეხვდება და მათთვის ორიგინალურ და გამორჩეულ მუსიკალურ ნომრებს დაუკრავს.

კომპანია „ისთერნ პრომოუშენმა" ჯაზსერიები საქართველოში ჯერ კიდევ თებერვლის თვეში დაიწყო. თბილისის ჯაზფესტივალიდან შავი ზღვის ჯაზფესტივალამდე მისი ორგანიზატორები ცდილობენ,



ჯაზის მოყვარულებისთვის დღესასწაულები მოაწყონ და სხვადასხვა ჯაზშემსრულებლები საქართველოში მოიწვიონ. თბილისის ჯაზსერიებით კომპანია „ისთერნ პრომოუშენი" გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულებს, ჯაზის ცოცხალი ლეგენდების ნახვის შესაძლებლობას ჯაზფესტივალებამდე ყოველი თვის ბოლოს აძლევს. კომპანია ამ საღამოებს მუსიკალური გემოვნების გაკვეთილებს უწოდებს. ამ პროექტის ფარგლებში პირველი კონცერტი ა კლასის საქსაფონისტმა ჯოშუა რედმანმა, თავის ტრიოსთან ერთად გამართა. მეორე კონცერტი უკვე მარტის თვეში ჩატარდა და ჯაზსერიების ფარგლებში თბილისს კლასიკური პოპის ლეგენდა ჯონ პიზარელი მეგობრებთან ერთად ეწვია. აპრილში კონცერტი ფრედ ვესლიმ ჩაატარა, მაისში კი თბილისში უკვე რობერტ გლასპერი პროექტით „ექსპერიმენტი", რომელიც ჯაზისა და ჰიპ-ჰოპის ნაზავს წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ შავი ზღვის ჯაზფესტივალს, ის ბათუმში 17– დან 22 ივლისის ჩათვლით გაიმართება. რიგით მეექვსე ჯაზფესტივალს წელს ისეთი ვარსკვლავები ესტუმრებიან, როგორიც არის ფანკ-ბასის ნათლიმამა ლარი გრეჰემი, ლეგენდარული გიტარისტი ჯონ სკოფილდი, ვირტუოზი პიანისტი ჯოი კალდერაცო, ბექა გოჩიაშვილი თავისი ვარსკლავური სექსტეტით, მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ბიტბოქსში ბათერსკოჩი. ფესტივალის საჩუქარი ულოდებათ ელექტრონული მუსიკის მოყვარულებს – ცნობილი ჯგუფის „ბლექ აიდ ფის"-ის წევრი ტაბუ დიჯეი სეტს წარმოადგენს, ხოლო ფესტივალს ბრაზილიური მუსიკის ცოცხალი ლეგენდა სერჟიო მენდესი დახურავს.

**ნიკოლოზ რურუა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი:**

– ბლექ სი ჯაზ ფესტივალი უკვე მეექვსე წელია ტარდება ბათუმში და ყოველი წლის შემდეგ ეს ფესტივალი მსოფლიო ფესტივალების რეიტინგში გამორჩეულ ადგილს იკავებს, რაც იმის ნიშანია, რომ ის არის ორგანიზებული ძალიან კარგად. მასზე ჩამოდიან უმაღლესი დონის მუსიკოსები. ინტერესი ჯაზის მიმართ ყოველ წელს იზრდება. ეს არის ის ფაქტორები, რაც განაპირობებენ ნებისმიერი ჯაზფესტივალის წარმატებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფესტივალი უკვე მსოფლიოს და მით უმეტეს, ჩვენს რეგიონებს შორის ერთ-ერთი ლიდერია. ფესტივალამდე ჯერ კიდევ სამი თვეა დარჩენილი, მაგრამ მისი პროგრამა უკვე შედგენილი და გაწერილია, ესეც მის ორგანიზატორთა ნამდვილ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ამ ფესტივალის მაღალი რეიტინგი იმას ნიშნავს, რომ ჯაზისადმი და ზოგადად ხელოვნებისადმი, ინტერესი საქართველოში მატულობს, რაც ძალიან მიხარია.

**მიშა გიორგაძე, კომპანია „ისთერნ პრომოუშენის" გენერალური დირექტორი:**

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# „თსუ გორდელა" მაყურებლის თხოვნას შეასრულებს

ეკა ირემაშვილი

ანსამბლი „თსუ გორდელა" მაყურებლის ხანგრძლივ თხოვნას შეასრულებს და სოლოკონცერტს ჩაატარებს, რომელიც 27 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზშია დაგეგმილი.

როგორც კონცერტის კოორდინატორმა მარი ონეზაშვილმა განაცხადა, კონცერტზე „თსუ გორდელა" მაყურებელს, ხალხისთვის უკვე ცნობილი, საყვარელი კომპოზიციების გარდა, ახალ რეპერტუარსაც შეუსრულებს. საღამოზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ჟანრის მუსიკა და სიმღერები.

ანსამბლის წევრის ქეთი კირკველიას ცნობით, კონცერტი მაყურებელთა მოთხოვნით იმართება.

– წელიწად-ნახევარზე მეტია თბილისში სოლო კონცერტი არ გაგვიმართავს. თითქმის ყველა გალა კონცერტის შემდეგ, სადაც ჩვენ რამდენიმე სიმღერას ვმღეროდით, მაყურებელი მოდიოდა და სოლო კონცერტის გამართვას გვთხოვდა. ამ თხოვნით ხშირად მოგვმართავდნენ სოციალურ ქსელში „ფეისბუქის" გვერდზეც, ამიტომ გადავწყვიტეთ, მაყურებელს საჩუქარი გავუკეთოთ და 27 აპრილს მათ წინაშე სრული რეპერტუარით წარვდგეთ, – განაცხადა ქეთი კირკველიამ.

– წლევანდელი წელი თსუ გორდელასთვის გამორჩეულია, მას დაარსებიდან 5 წელი 14 ივნისს უსრულდება.

– 14 ივნისს „თსუ გორდელა" 5 წლის ხდება. ანსამბლის წევრებს დიდი სურვილი გვაქვს იუბილე ფილარმონიაში გამართული სოლო-კონცერტით აღვნიშნოთ, თუმცა ამისთვის გარკვეული ტექნიკური დეტალებია მოსაგვარებელი, – ამბობს ქეთი კვირკველია.

„თსუ გორდელა" 2007 წელს ჩამოყალიბდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასში გაერთიანებულია თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტის 11 სტუდენტი გოგონა.

– ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს მელოდიების ფართო სპექტრს, რომელსაც მივყავართ ადრეულ შუა საუკუნეებამდე და ამასთანავე პირვანდელი სახით ინარჩუნებს საქართველოში საუკუნეების განმავლობაში შემონახულ სულიერებით აღსავსე, უძველესი წარმომავლობის მქონე თვითმყოფად და გამორჩეულ მუსიკალურ კულტურას, – აღნიშნავს ანსამბლის ხელმძღვანელი ვლადიმერ (თამაზ) მამალაძე.

ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ტრადიციული მუსიკა არანჟირებულია ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ. ანსამბლი ასრულებს მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს, როგორც ა-კაპელა, ასევე ინსტრუმენტების თანხლებით. მისი წევრები უკრავენ უძველეს ქართულ ხალხურ საკრავებზე – სიმებიანი – ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჩანგი. ჩასაბერი – სალამური, ჭიბონი, ლარჭემი. დასარტყმელი – დოლი, დაირა. ასევე გარმონი.

– მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, ანსამბლმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, ანსამბლი არის სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი, რაც მისი წევრების მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურებაა. „გორდელა" უკვე მრავალია წელია ყველა მნიშვნელოვანი ფესტივალის მუდმივი მონაწილეა. ანსამბლი მონაწილეობას იღებს ასევე ისეთ პროექტებში, როგორიცაა „იავნანას" საქველმოქმედო საღამოები, საახალწლო ღონისძიებები, დევნილთათვის დაგეგმილი კონცერტები, მიწვეული არიან სხვადასხვა შოუებში თუ ტელეგადაცემებში და სხვა გალა კონცერტებში, – აღნიშნავს მარი ონეზაშვილი.

ნიჭიერმა გოგონებმა თავისი ახალგაზრდული ენერგიითა და პროფესიონალიზმით, ძალიან მალე შეძლეს მაყურებლის გულის მოგება. მათ სცენაზე ხშირად უწევენ პარტნიორობას ისეთი ცნობილი შემსრულებლები, როგორებიც არიან ნუკრი კაპანაძე, დათო არჩვაძე და მრავალი პროფესიონალი მომღერალი.

27 აპრილს დაგეგმილი „თსუ გორდელას" კონცერტი მისი ორგანიზატორების განცხადებით, ორიგინალური და ყველასგან გამორჩეული იქნება.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი ქართული ფირმა; 2. ქალაქი ვაშინგტონის შტატში, სადაც განთავსებულია „ბოინგის" ყველაზე დიდი თვითმფრინავმშენებელი საწარმო; 3. უნივერსიტეტი ინგლისში; 4. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 8. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 9. დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს; 11. რიგითი მეზღვაური; 12. ტბა თბილისში; 14. აზრი, ჩანაფიქრი; 16. სისხლის უწვრილესი სადინარი; 17. ბაქტერიების მშთანთქმელი უჯრედი; 19. ტროპიკული ხილი; 21. შხამიანი გველი.

**თარაზულად:** 5. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ტყის ქათამი; 10. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. კვირის ერთ-ერთი დღე; 15. მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 18. ფილიპინების დედაქალაქი; 20. მალაზია-სახელოსნო იტალიაში; 22. სწრაფტემპიანი სამეჯლისო წყვილთა ცეკვა; 23. წინსვლა, ალმავლობა; 24. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰეტმანი; 2. ფაგი; 3. პიაფი; 4. ახტალა; 6. ჟურფიქსი; 9. კონუსი; 13. არქტიკა; 14. მურტალო; 15. ცუკუბა; 17. ტატრა; 18. კარნო; 21. ხოტი.

**თარაზულად:** 1. ჰეფნერი; 5. კრიჟი; 7. დიხაშხო; 8. ტუგრიკი; 10. უწერა; 11. ფრეზა; 12. თუნუქი; 16. ზულუსი; 17. ტანკი; 19. ქედა; 21. ბულიტი; 22. არლანი; 23. პანამა; 24. ლოპოტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლინატე; 2. ბორჯომი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. რეკორდი; 12. იავა; 14. შინი; 16. რეგენტი; 17. ნეისმიტი; 19. კომეტა; 21. გენკი.

**თარაზულად:** 5. მონბლანი; 6. არლეკინო; 7. ინტერპოლი; 10. მარინა; 13. უქნარა; 15. ევკომია; 18. ბეტონი; 20. ემისია; 22. გემოვნება; 23. ატრიბუტი; 24. ოკულისტი.

# შავი ზღვის ჯაზფესტივალი მეექვსედ ჩატარდება

დასაწყისი მე-10 გვერდზე

– ჩვენ გვაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ რიგით მეექვსე შავი ზღვის ჯაზფესტივალი ბათუმში, რომელსაც ტრადიციულად კულტურის სამინისტრო, ჩვენს მხარდამჭერ „თიბისი სტატუსთან" ერთად წარმოგიდგენთ. როგორც ყოველთვის, საინტერესოა წლევანდელი პროგრამაც, პირველი ორი დღის განმავლობაში კონცერტებზე დასწრება უფასო იქნება. ისევ გვეყოლება ბენდები, რომლებიც ბათუმის ქუჩებში გაართობენ ხალხს დღის განმავლობაში. ხოლო შემდეგ უკვე ჩატარდება ჯემები.

***– რით არის წლევანდელი შავი ზღვის ჯაზფესტივალი გამორჩეული?***

– როგორც ყოველთვის ამ ფესტივალის პროგრამაც მრავალფეროვანია. მთავარი სიურპრიზი ის არის, რომ ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა გვაქვს შერჩეული, თან ყველა ასაკზე და გემოვნებაზე გათვლილი. მგონია, რომ ფესტივალის დანიშნულებაც სწორედ ეს არის – ჩვენ მუსიკალური ინდუსტრიის მრავალფეროვნება უნდა ვაჩვენოთ მაყურებელს. ახალგაზრდა მსმენელის მოსაზიდად კი ერთ-ერთი ყველაზე ძვირიანი დიჯეი გვეყოლება, ეს არის დიჯეი ტაბუ, ჯგუფ „ბლექ აიედ ფისის" წევრი. ის გამართავს დისკოთეკას ფესტივალის ფარგლებში, ამიტომ ყველა ახალგაზრდას ვეპატიჟებით და მჯერა, რომ ეს მათთვის დაუვიწყარი საღამო იქნება.

**ფრედ ვესლი, მუსიკოსი:**

– ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია აქ ყოფნა და ის, რომ ასოცირებული ვარ ამ ფესტივალთან. პირველ ფესტივალზე რომელიც ბათუმში ჩატარდა, მე ვიყავი ჩამოსული. მნიშვნელოვანია ჯაზფესტივალი სახელმწიფოსთვის და საქართველოს მოსახლეობისთვის, ვინაიდან ის მსოფლიო საზოგადოების დიდ ყურადღებას იპყრობს. შავი ზღვის ჯაზფესტივალში მსოფლიოს საუკეთესო ჯაზშემსრულებლები იღებენ მონაწილეობას – ბექა გოჩიაშვილი, ჯონ სკოფილდი, ჯოი კალდერაცო და სხვები. მართლა ბედნიერი ვარ, რომ დამიძახეს. ჩემი ბენდის წევრებს მოეწონათ ქართველი გოგონები. მე კი მოვიხიბლე თქვენი ქვეყნით, საოცარი ხალხი ხართ. ამ ფესტი-



ვალზე ბევრი მსმენია, მაგრამ ამჯერად ფესტივალის სტუმრები ვართ და ამისთვის მადლობას გიხდით.

**მადონა წულაია, „თიბისი სტატუსის" დირექტორი:**

– „თიბისი სტატუსი" კომპანია „ისთერნ პრომოუშენის" გრძელვადიანი პარტნიორია. დარწმუნებული ვარ, რომ რიგით მეექვსე ჯაზფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და საინტერესო იქნება. აქვე მინდა ისიც გითხრათ, რომ „თიბისი სტატუსის" კლიენტები, როგორც ჯაზფესტივალებსა და ჯაზ-სერიებზე, აქაც მიიღებენ 15-20%-იან ფასდაკლებებს ბილეთებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ ფესტივალში ჩართვა. ჩვენს სტატუსკლიენტებს ვუქმნით დამატებით კომფორტს და ბენეფიტებს, ისინი ძალიან კმაყოფილები არიან. ჩვენი ბანკირები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფესტივალის განმავლობაში საუკეთესო ადგილები მათ მიიღონ. ჩვენთვის ნამდვილად პრესტიჟია, ვიყოთ ისეთი ფესტივალების წარმომადგენლები, როგორიც არის თბილისის და შავი ზღვის ჯაზფესტივალები. როგორც გითხარით, ეს ურთიერთობა გრძელვადიანია და მომავალში კიდევ არაერთ პროექტს განვახორციელებთ.

**კახა კანდელაკი, „ისთერნ პრომოუშენის" მარკეტინგის დირექტორი:**

– წლევანდელი ჯაზფესტივალი მართლაც გამორჩეულია. ჩვენ ყოველ წელს ვცდილობთ, ჯაზის მოყვარულებს საუკეთესო შემსრულებლები წარვუდგინოთ. წელს ბათუმში მენდესი ჩამოდის, 14-კაციანი ბენდი ჩამოჰყავს თავისი რეპერებით, ვოკალისტებით. საერთოდ ამ ფესტივალზე მოწვეული ყველა შემსრულებელი გამორჩეული და მაგარია, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენ მიერ მოწვეული სტუმრები არიან, ვინც ჩამოვა ბათუმში და ამ ფესტივალს პირადად დაესწრება, ისიც ამ აზრზე დარჩება. მენდესი კონცერტს ღია ცის ქვეშ მოაწყობს, ასეთი კონცერტები კიდევ უფრო მაგარია, ამიტომ მგონია, რომ წელს ნამდვილად ყველასგან გამორჩეული ჯაზფესტივალი გვექნება.

პ.ს. ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „ჯაზის სალექციო ტურნე საქართველოში", რომელიც ჭიათურის კულტურის ცენტრში ჯაზ-კონცერტით გაიხსნა.

ხუთი მუსიკოსისგან შემდგარი ჯაზ-ანსამბლი თამაზ ყურაშვილის, ზურა რამიშვილის, რეზო კიკნაძის (კონსერვატორიის რექტორი), ლევან კემულარიას და ზაზა ცერცვაძის შემადგენლობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქალაქებსა და სოფლებში კონცერტებით იმოგზაურებს. ჯაზმენები ადგილობრივ მოსახლეობას ჯაზის შესახებ ერგვარი ლექციების კურსს წაუკითხავენ, ესაუბრებიან მუსიკოსებზე, ინსტრუმენტარიუმზე, სტილისტიკაზე, განუმარტავენ იმპროვიზაციის სპეციფიკას...

ჭიათურაში პირველ ჯაზ-კონცერტს გამართავენ რეზო კიკნაზე (საქსაფონი), ზურა რამიშვილი (ფორტეპიანო), ლევან კემულარია (საყვირი), ლევან დეისაძე (ბას-გიტარა) და ზაზა ცერცვაძე (დრამი).

– პროექტის ძირითადი მიზანია ჯაზის პოპულარიზაცია საქართველოს რეგიონებში, იქ სადაც მსმენელი არათუ განებივრებულია მე-20 საუკუნის ამ უნიკალური მუსიკალური ხელოვნებით, არამედ ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ იცნობს ამ ჟანრს, – განმარტავენ კულტურის სამინისტროში.

ჯაზკონცერტებისა და ლექციების სერია თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს, მათ შორის გორს, მცხეთას, გურჯაანს, სიღნაღს, თელავს, ყვარელს, ბორჯომს, ახალციხეს, ზესტაფონს, ქუთაისს, ამბროლაურს, მესტიას, ანაკლიას, ურეკს, ქობულეთს, ბათუმს.

პროექტს წარმოდგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, უზრუნველყოფს მუსიკოსების ტექნიკურ აღჭურვილობას, პროექტის მედია პარტნიორი კი საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიაა.

# პანტომიმის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრში პრემიერაა. უმცროსმა ამირან შალიკაშვილმა დაასრულა ერთთვიანი მუშაობა სპექტაკლზე და მას თეატრში მისულ მაყურებელს ახალ სივრცეში წარუდგენს.**

„პროლოგი" – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც 26 აპრილს გათამაშდება და იგი პანტომიმის საუკუნოვან ისტორიას აერთიანებს. სპექტაკლის ქორეოგრაფია ლუკა ჩხაიძე, კომპოზიტორი – ოთარ ნასრაშვილი, მხატვარი – დათო შარიქაძე. წარმოდგენაში დაკავებული არიან ამირან შალიკაშვილი (უფროსი), ირაკლი ბიბილური (ჟან გასპარ დებიურო), გიორგი ტიელიძე (ჩარლი ჩაპლინი) და ვასო კიპაროიძე (მარსელ მარსო), ასევე სალომე ფილიშვილი, სოფო ლოლაძე, ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ოკუჯავა, ნინო დათუნაშვილი, ანა საბო, ეკა დობორჯგინიძე, გიორგი გურგენიძე, შოთიკო ქერაშვილი, გიგი ლორია, მიშა ლორთქიფანიძე, ბაჩო მამულაძე, მიშა ზაქაიძე და თორნიკე დილმელაშვილი.

როგორც რეჟისორმა განაცხადა, სპექტაკლის დადგმა კარგა ხანია სურდა, თუმცა ჩანაფიქრი სისრულეში აქამდე ვერ მოიყვანა. პრემიერის დასასრულს უმცროსი ამირან შალიკაშვილი შეკრებილ საზოგადოებას შემდეგი ახალი სამი დე სპექატკლის სარეკლამო რგოლს წარუდგენს.

– ეს სპექტაკლი პანტომიმის ისტორიას მოგითხრობთ. სანამ იყო ანტიკური თეატრი, იყო პანტომიმის ხელოვნება, პანტო – სხეული, მიმა – მიმიკა. მერე და მერე პანტომიმის ხელოვნებამ დიდი როლი ითამაშა თეატრალურ სამყაროში. საოცარია მისი ისტორია – რომის პანტომიმის თეატრი, იტალიის „კომედია დელარტე", ჟან გასპარ დებიურო, ფრანგული პანტომიმის ჟანრის ფუძემდებელი, შემდეგ ინგლისის ბუფინატების მიქელანჯელო, ჯონ გრიმალდი, შემდეგ კინემატოგრაფია პანტომიმის ხელოვნების დამფუძნებელი ჩარლ სპენსერ ჩაპლინი, ისევ ფრანგები და მარსელ მარსო. პოლონეთში – ტომაშევსკი, ჩეხი ვლადისლავ ფიალკა. ბევრმა სცადა პანტომიმის თეატრის დაარსება, მაგრამ ამირან შალიკაშვილი აღმოჩნდა ის კაცი, რომელმაც საბჭოთა კავშირში პირველი სახელმწიფო პანტომიმის თეატრი დააარსა, ამიტომ მინდა დალოცვილი იყოს საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრის მომავალი, – განაცხადა უმცროსმა ამირან შალიკაშვილმა.



პანტომიმის თეატრში უფროსი ამირან შალიკაშვილის გარდა, უკვე მისი შვილებიც დგამენ სპექტაკლებს. დათო შალიკაშვილმა არაერთი ჩანაფიქრი განახორციელა, უმცროსი ამირანი კი ახლა იწყებს თავისი იდეების რეალიზებას.

**ამირან შალიკაშვილი უმცროსი:**

– ამ სპექტაკლზე კარგა ხანს ვფიქრობდი. ჩემი ძმა დათო მამას ყოველთვის აკავებს თავის სპექტაკლებში, ამ სპექტაკლში მეც დავაკავე მამაჩემი. მამას რომ ვაკავებთ, მინდა ხალხმა კიდევ ერთხელ დაინახოს და ჩემმა თაობამ ხშირად ნახოს მამაჩემი სცენაზე. ჩვენი შინაგანი მოთხოვნაა, გვინდა მამა ჩვენ გვერდით სცენაზე იდგეს.

***– კიდევ რაში დააკავებთ მამას?***

– ორი წელია ვფიქრობ, ფიროსმანში დედაჩემი და მამაჩემი ვათამაშო. ეს იქნება მოვლენა და ამ ჩანაფიქრს აუცილებლად განვახორციელებ.

***– „პროლოგზე" დიდხანს იმუშავეთ?***

– ერთ თვეში გავაკეთე სპექტაკლი. სამი დე სპექტაკლი მინდა გავაკეთო, წლებია ამაზე ვფიქრობ. მისი განხორციელება ფინანსურადაც რთულია, თანამედროვე ჩოხები მაქვს გაკეთებული და სცენარში საქართველოა ორი საუკუნის შემდეგ.

***– რატომ მოგინდათ ჩარლი ჩაპლინიზე, მარსელ მარსოსა და ჟან გასპარ დებიუროზე სპექტაკლის დადგმა?***

– იმიტომ, რომ ისინი გამორჩეული ადამიანები იყვნენ. ამ სპექტაკლის დადგმა არ გაგვიჭირდა, იმიტომ, რომ მათზე ვიდეოები არსებობს და ასე ავაწყეთ სპექტაკლი. იდეა გამოვიდა კარგი – ფილმი გავაცოცხლეთ, ამიტომ პრემიერაზე შავ-თეთრ ფილმ-სპექტაკლს იხილავთ ამ გენიოსებზე, იწყება პანტომიმის გენიოსებით და არის შავ-თეთრი, მერე სპექტაკლი ფერადდება და გამოდის მამაჩემი, ბოლოს კი უკვე ჩვენ გამოვდივართ, ახალგაზრდები. ბოლო 12 წუთი ჩემი სამი დე ფორმატის სპექტაკლის რეკლამაა. „პროლოგი" 40-წუთიანი სპექტაკლია და ორმაგი დატვირთვა აქვს – თან სპექტაკლია, თან ჩემი მომავალი ჩანაფიქრის რეკლამაა.

***– გაიტანთ სპექტაკლს ფესტივალებსა და კონკურსებზე?***

– მინდა ეს სპექტაკლი „დურუჯზე" წარვადგინო.

***– მაინც არ ეშვებით „დურუჯს"?***

– ვფიქრობ, რომ ახალგაზრდებმა უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ კონკურსში. მამა ხელშეუხებელი განძია, რად უნდა მის სპექტაკლებს ვინმეს შეფასება? ის ლეგენდაა, ისტორიაა და ამ თეატრში მისი სპექტაკლები ყოველთვის იქნება. წლების შემდეგ ბილეთი მის სპექტაკლებზე „სტუმარ მასპინძელი", „კრიმანჭული" 10 ლარი კი არა, 100-200 დოლარი ეღირება.

***– თქვენს სპექტაკლებზე?***

– ჩვენს სპექტაკლებზე 3 და 5 ლარიც იქნება ბილეთი, არ არის პრობლემა, მაგრამ მამას სპექტაკლები ნამდვილი განძია.

## სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი პიროვნება, სახალხო მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთზე უზომოდ შეყვარებული

**სერგო იონას ძე სოსელია**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ნანული და გუგა ჭოხონელიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ბიძაშვილს, ნოე ლეჟავას მეუღლის

**მანანა ქურციკაშვილ-ლეჟავას**

გარდაცვალების გამო.

სერგო ფიფია ოჯახით იუწყება ძვირფასი მეგობრის

**ვიტალი ფირცხალავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV ტელეპროგრამა

**ხუთშაბათი 26 აპრილი**

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 14.00 ალმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი „იმპერიის მშენებლობა„ 15.00 სერ. „დეტექტივი„ 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „არც ასე, არც ისე„ 21.00 სერ. „დეტექტივი„ 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 სი-ბემოლი 00.00 მხ. ფილმი „ნორმალური ცხოვრება„ (18) 01.50 მოამბე 01.20 საფარი 02.40 მხ. ფილმი „ბოულინგის მეფე„ (15) (პ. ფარელი) 04.40 მხ. ფილმი „ტრუმენის შოუ„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 20.00 მხ. ფილმი „პოსეიდონის თავგადასავალი„ 01.00 მხ. ფილმი „მოლ ფლანდერსი„

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მემკვიდრეები„ 22.00 სერ. „შუა ქალაქში 3„ 23.00 „მან სან კანის„ ჩემპიონთა ლიგა 00.30 თბილისი ლაივი 01.30 მხ. ფილმი „ადრენალინი„ (15) (ჯ. სტეტჰემი) 03.25 მხ. ფილმი „ძაღლური ცხოვრება„ (18) (ჯ. ლი) 05.15 მხ. ფილმი „ღვთის გამოგზავნილი„ (15) (გ. კინეარი)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 კომედი შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ.„მიყვარხარ ლოლა„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 22.00 პროფილი 23.30 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. „ტაქსის მძღოლი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ.„გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „სიამაყე„ 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.20 სერ. „ქალი გაიცნობს„ 12.50, 19.35 სერ. „მონტალბანო„ 13.50 სცენა 15.15 სერ. „სიამაყე„ 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი „შეხვედრა მთაში„ 13.40 კონცერტი — ქართული მელოდიები 15.05 განთიადის სუტმარი 15.30 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„ 15.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 16.20 მხ. ფილმი „ჩრდილი გზაზე„ 18.10 დოკ. ფილმი „წმინდა მიწაზე„ 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი„ 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 გამოყენებითი ხელოვნება 21.35 აქტუალური თემა 22.25 დოკ. ფილმი „გელინო„ 1-ლი ნ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ. ფილმი „გელინო„ მე-2ნ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.45 კონცერტი — ნ. გელაშვილი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**26 აპრილი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

- აშშ დოლარი — 1,639
- ევრო — 2,1551
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114
- რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 10-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-23, ღამით — 7-9

**ამინდის პროგნოზი 26 აპრილისთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა


# 25 აპრილიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მესამე ტომი
**კანიბალიზმის ისტორია**






გამოსულია:
პირველი ტომი
**ტირანები**
მეორე ტომი
**100 გამოჩენილი მხედართმთავარი**




გამოსაცემად მზადდება:
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

პროექტი „დიდი ქართველები“
30 აპრილიდან
გაგრძელდება ჟურნალ
„გულახდილ საუბრებთან“
ერთად




გაიყიდება მე-17 ტომი
# ივანე ჯავახიშვილი
ფასი ჟურნალთან ერთად 8 ლარი



# 28 მარტიდან
უნიკალური პროექტი
„ახალ თაობასთან“ ერთად
იყიდება უნიკალური პროექტის
„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“
23-ე ტომი
# კაზანოვა

„100 წიგნში“ შედის
იმ ადამიანთა ბიოგრაფიები,
რომელთაც დიდი კვალი
დატოვეს მსოფლიო
პოლიტიკაში, მეცნიერებასა
და კულტურაში.




გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


## ყველამ გაითვალისწინეთ!
ეს დღე მშვიდად გაატარეთ

## ასტროპროგნოზი 26 აპრილისთვის

**ვერძი** – დამშვიდდით, ნუ აყვებით პროვოკაციას. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად არის. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, გახარებული ხართ. **ქალწული** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ღრიანკალი** – არ გადაიღალოთ, ისედაც ყველაფერს მოასწრებთ. **მშვილდოსანი** – თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** – ნურავის ენდობით, ყური მიუგდეთ გულისთქმას. **მერწყული** – კითხვები გაწუხებთ, მაგრამ პასუხს თქვენით იპოვით. **თევზები** – საყვედურს ნურავის ეტყვით, ყველაფერი თქვენი ბრალია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი მწერალი რომან „მადამ ბოვარის“ ავტორი; 2. ზოგიერთი ადგილების ამოღება, შემოკლება მხატვრულ ან მუსიკალურ ნაწარმოებში; 3. მოვარდნილი წყალი; 4. ერეკლე მეორეს კარზე მოღვაწე ქართველი პოეტი, დიპლომატი; 5. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 8. ოქროს წონის საზომი ერთეული ძველად; 9. მდინარე აშშ-ში; 12. სამხედრო იარაღის გამოსაცდელი ტერიტორია; 13. კიბერნეტიკის ნაწილი; 16. აეროპორტი მილანში; 17. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 19. ჩილელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 20. დაქირავებული კავალერი.

**თარაზულად:** 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 7. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 11. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 14. თბილისთან დამეგობრებული ქალაქი ინგლისში; 15. ფიჭური კავშირგაბმულობის ფრანგული კომპანია; 18. კიპლინგის პოპულარული ნაწარმოების პერსონაჟი; 21. ტანკსაწინააღმდეგო წინაღობა, თხრილი; 22. იტალიური საავტომობილო კონცერნი; 23. თურქი ჯარისკაცი; 24. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი.




*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*